


სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ
 სოფ. მუცოს (დუშეთის მუნიციპალიტეტი) რეაბილიტაციის
 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
 მომსახურების შესყიდვაზე 2014 წლის 07 ივლისს გამოცხადებულ კონკურსზე
 (საკონკურსო განცხადების #1288) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების
 რეგისტრაცია

#	კონკურსანტის დასახელება	დოკუმენტაციის წარდგენის თარიღი და დრო	ხელმოწერა
1	ააიპ „ამქალი“	22.07.2014 17:50 გ.ბაქაძე ნაძოყშვილი	
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			

საკონკურსო აპარატის წევრი
 ე. ბოლქვაძე



საგადახდო დავალება
Payment Order

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯვანიშვილის

თარიღი / Date: 17/07/2014

ფილიალური
რეფერენსი / Ref. Num.

გადამცემელი / Sender

 გადამცემლის ანგარიში / Sender's Account
 გადამცემლის ბანკი / Sender's Bank ბანკის კოდი / Bank Code

თანხა / Amount

 თანხა სიტყვიერად
 Amount in words

ინფორმაცია პირზე, რომლის სახელიადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name
 საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code

მაშობელი / Receiver

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's ACC. / Treasury Code
 მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury ბანკის კოდი / Bank Code

შესრულების თარიღი / Operation Date

გადახდის დანაშნულება / Operation Details

ბანკში შემოსულობის მიღება / Received

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ხელმოწერა / Signature

ხელმოწერები / Signatures 



ამ დოკუმენტს ხელმოწერით აღიარებთ დასტურებს, რომ დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალურ რეგულაციებს და ინფორმაციას ვებ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილია მისი ტექსტისა და დამატება) და ეთანხმება მათ, რითაც უპირობოა შემოსულობის ხელშეკრულებას.

1065074706 7/17/2014 5:02:58 PM გორგი კალაშვილი

931/102-01

სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა # 1695444-2639792

თბილისი

2014 წლის 17 ივლისი

სს "თიბისი ბანკი", წარმოდგენილი მისი მარჯანიშვილის ფილიალის ბექ-ოფისის უფროსი მენეჯერის თინათინ ზერაგიას სახით, მოქმედებს რა წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გასცემს წინამდებარე გარანტიას ქვემოთ წარმოდგენილი ძირითადი პირობებით:

გარანტი:
პრინციპალი :

სს "თიბისი ბანკი"
აიპ კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი 'ამქარი'
საიდენტიფიკაციო ნომერი: 200223347

ბენეფიციარი :

რეგ. თარიღი: 28/02/2007
სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

გარანტიის თანხა :
გარანტიის გაცემის საფუძველი :

200,00 (ორასი ლარი) ლარი
ბენეფიციარის მიერ გამოცხადებულია კონკურსი, რომელიც გულისხმობს : მუცოს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებას. არნიშულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრინციპალმა უნდა წარადგინოს საბანკო გარანტია.

გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება :

"გარანტი" კისრულობს ვალდებულებას ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში გადაუხადოს მას გარანტიის თანხა საგარანტიო წერილის პირობების შესაბამისად.
წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ უნდა იქნეს ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის კანცელარიაში სამუშაო საათებში.

გარანტიის თანხის მოთხოვნის უფლება:

"გარანტის" მიერ "ბენეფიციარისათვის" გარანტიის თანხის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი დაირღვა "პრინციპალის" მიერ "ბენეფიციარის" წინაშე ნაკისრი ვალდებულება, რაც გამოიხატება შემდეგში:

გარანტიის მოქმედების ვადა :

თუ სატენდერო წინადადებების გახსნის შემდეგ "პრინციპალმა" უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების ვადის დასრულებამდე;
თუ "პრინციპალი" გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე;
თუ "პრინციპალი" დისკვალიფიცირებულ იქნა პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.
გარანტია ძალაში შედის 17.07.2014 და მოქმედებს 22.09.2014 ჩათვლით. მოთხოვნა გარანტიაზე გადახდის შესახებ "ბენეფიციარის" მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ამ თარიღის ჩათვლით

თუ წინამდებარე საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ იქნა წარმოდგენილი "ბენეფიციარის" წერილობითი მოთხოვნა, მაშინ გარანტიის მოქმედება წყდება.

წინამდებარე გარანტიაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან ერთად მოქმედებს საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილი უნიფიცირებული წესები მოთხოვნამდე გარანტიებზე (სუბლიკაცია #758).

საბანკო გარანტიის თაობაზე წამოჭრილი ყველა დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ს.ს. "თიბისი ბანკის" მარჯანიშვილის ფილიალის ბექ-ოფისის უფროსი მენეჯერი თინათინ / _____ /
ზერაგია



დანართი №1

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება: ააიპ კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის
კავშირი "ამქარი"

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: იოსებ ბანძელაძე

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის 34, კ. 16, ბ. 12

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის 34 კ. 16, ბ. 12

საიდენტიფიკაციო კოდი: 200223347

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: (995 32) 69-27-27, (995 99) 18 40 84.

ელექტრონული მისამართი: zeindari@gmail.com

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE23TB1144436080100005

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 20000. ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 2014 წლის 22 აგვისტოს ჩათვლით

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: 0%

ხელმძღვანელის ხელმოწერა



კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი – “ამქარის” მიერ
ჩატარებული სამუშაოები:

- ქალაქ ყვარლის ისტორიული ცენტრის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო წინადადება და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის აღდგენა-გამაგრების პროექტი;
- წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი და სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი;
- ჩხოროწყუს რაიონის ს. ახუთის მაცხოვრის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი;
- წყალტუბოს რაიონის სოფელ ჭაშლეთის მაცხოვრის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი;
- ხომლის მთის მასივის მეცნიერულ-არქეოლოგიური შესწავლა და მასზე სამეცნიერო პოპულარული ფილმის გადაღება. (ანტიკური წყაროს ცნობით კოლხეთის ამ მთაზე მოჯაჭვული იყო პრომეთე, ხოლო შუასაუკუნეებში აქ ინახებოდა საქართველოს სახელმწიფოს განძი “მეფეთა საგანძურთ სადები”). მოეწყო აღპინისტური ასვლები 300 მეტრიან შვეულ კედელზე. “მიკრო” სტუდიასთან და სტუდია “პილიგრიმთან” ერთად შეიქმნა სამეცნიერო-დოკუმენტური სერიალი “ხვამლი”;
- “ამქარის” სპეციალისტების მიერ, კომპანია “არსთან” ერთად, შესრულებულია პირიქითა ხევისურეთში ციხე-სოფელ მუცოს რესტავრაციის პროექტი;
- შატილის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი.

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი “ამქარი”
ხელმძღვანელი იოსებ ბანძელაძე



ავტობიოგრაფიის ფორმა (CV)

იოსებ ბანძელაძე

საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის არქიტექტურის რესტავრაციის დეპარტამენტის უფროსი.

დაბ. 12. 08. 1953 თბილისი

მისამართი – თბილისი, ცოტნე დადიანის 34. კ.16 ბ.12

ტ. 69-27-27; მობ. 8.99.18.40.84 e-meil - zeindari@gmail.com

განათლება – 1970-76 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

სპეციალობა – არქიტექტორ-რესტავრატორი.

ცნობები მუშაობის შესახებ:

- 1975 – საქ. კულტურის სამინისტრო, ძველთა დაცვის სამეცნიერო მეთოდური საბჭოს მეცნიერი-თანამშრომელი.
- 1978 – ძველთა დაცვის მთავარი სამმართველოს ადაპტაციის განყოფილება.
- 1981 – სპეც. სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება
- 1990 – რესტავრაციის კვლევით-საპროექტო ინსტიტუტი "საქრესტავრაცია".
- 1995 – რესტავრაციის ინსტიტუტი, რეგენერაციის განყოფილების გამგე.
- 1998 – რესტავრაციის ცენტრი, საპროექტოს ხელმძღვანელი.
- 2000 – რესტავრაციის ცენტრის დირექტორის მოადგილე.
- 2002–2011 საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნების და რესტავრაციის ცენტრის ხუროთმოძღვრული ნაგებობების რესტავრაციის დეპარტამენტის უფროსი

პედაგოგიური საქმიანობა:

- 1979 წლიდან თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი.
- 1995-96 – თბილისის სასულიერო აკადემია. ღვკციების კურსი: – "ხუროთმოძღვრების ხელოვნება".

არქიტექტურული პროექტები:

- 1977 – ძველი თბილისის ცენტრის რეკონსტრუქცია (ოქროს დიპლომი. ქ. ტალინი-1977 წ.)
- 1975–2000 – 90-მდე ხუროთმოძღვრული ძეგლის საპროექტო კვლევა, ფიქსაცია და რესტავრაციის პროექტი.
- 2001 – ძაღისის ნაქალაქარის საპროექტო და საკონსერვაციო სამუშაოები; მთათუშეთში "კესალოს" ციხის კომპლექსის რესტავრაცია;
- 2000–2003– "ჯვართამაღლების" ახალი ეკლესია ღვინტეხში.
- 2002-2003– აწყურის საკათედრო ტაძრის აღდგენა-გამაგრების პროექტი;
- 2001–2004– ღაბუჯინას მთავარანგელოზის სამრეკლოს რეკონსტრუქცია.
- 2004 – პირიქითა ხევსურეთში ციხე-სოფელ მუცოს აზომვა-ფიქსაცია.
- 2002–2006– სვეტიცხოვლის სამრეკლოს რეკონსტრუქცია. ზედაზნის მონასტრის სარესტავრაციო-არქეოლოგიური კვლევა. ნაკურალეშის წმ. გიორგის ეკლესიის რეაბილიტაცია. ჟაღეთის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- 2005–2007– გონის წმინდა გიორგის ეკლესიის რესტავრაცია.
- 2007 – დერჩის ნათლისმცელის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი
- 2008 – მცხეთის ჯვრის რეაბილიტაციის პროექტი. ციხე-სოფელ მუცოს რეაბილიტაციის პროექტი.
- 2009–2013 ბუდიანის დედათა მონასტრის რეკონსტრუქცია–რეაბილიტაცი
- 2013 – თისლის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი შატილის რეაბილიტაციის პროექტი

საგრანტო პროექტებში მონაწილეობა:

1997 – გონის კანკელი. ნომინატორი.

ფონდი „ლია საზოგადოება-სამართლებლო“

2006 – მცხეთის ჯვრის მონასტრის არქეოლოგიური ფიქსაცია.

ჯგუფის ხელმძღვანელი.

WORLD MONUMENTS FUND® Kress Foundation European Preservation Program

2009 – 2011 – ხომლის მთის მასივის მეცნიერულ-არქეოლოგიური შესწავლა და

მასზე სამეცნიერო პოპულარული ფილმის გადაღება.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. “რუსთაველის ფონდი”

2010 – პროექტი ძველი თბილისის იდენტობა და სული

სტუდენტური უორკშოპის თანაწამყვანი.

ბრიტანეთის საკონსულო. “გოეთეს ცენტრი”.

ენების ცოდნა: ქართული, რუსული, ფრანგული.

დამატებითი ინფორმაცია

საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების საბჭოს წევრი, (1998წლიდან)

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო,

ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი (2007-2008)

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს

სამეცნიერო საბჭოს წევრი, (2009 წლიდან)

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირი «ამქართ» დამფუძნებელი (2007 წ.)



საკვალიფიკაციო მონაცემები

სახელი, გვარი: ალექსანდრე ლებანიძე
დაბადების თარიღი: 1966 წლის 4 სექტემბერი
დაბადების ადგილი: საქართველო, ქ. ჭიათურა
მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე
სახლის მისამართი: საქართველო, 0179 თბილისი, მ. ფალიაშვილის ქ. N78 ბინა N92
ტელეფონი: (995 32) 29 19 66, მობ. (995 99) 29 19 66
ელ. ფოსტა: alebanidze@yahoo.com
სამსახურის მისამართი: საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N72

განათლება:

1983-1990 წ.წ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
სპეციალობა - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

სამეცნიერო ხარისხი:

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება:

ასოცირებული პროფესორი.

პროფესიული საქმიანობა:

1990-2008 წ.წ. - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის ასპირანტი, უფ. მასწავლებელი, დოცენტი, ასოც. პროფესორი.
2000-2006წ.წ. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმო-მელეგობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
2004-2006წ.წ. - თბილისის სამხატვრო აკადემიის საინჟინრო კათედრის თანამშრომელი.
1999-2008წ.წ. - შ.პ.ს. "კაპიტელი"-ს მთ. სპეციალისტი.
1998-2005წ.წ. - შ.პ.ს. აკადემშენი"-ს მთ. ინჟინერი.

სამეცნიერო შრომები:

15 სამეცნიერო სტატია, 1 გამოგონება.

პროფესიული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

პედაგოგიური - რკინაბეტონის კონსტრუქციების კურსი.
სამეცნიერო - ნაგებობათა სეისმომედეგობის საკითხები.
საექსპერტო - ნაგებობათა დაზიანების დიაგნოსტიკა, მშიდუნარიანობის და სეისმომედეგობის შეფასება.
საპროექტო - შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციების გაანგარიშება და დაპროექტება.

ენების ცოდნა:

ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად), ინგლისური (საშუალოდ)

კომპიუტერის ცოდნა:

Microsoft Office, Visio 2003, SAP 2000, LIRA Windows.



გურამ სუთიძე

1. პირადი მონაცემები

სახელი	გურამ (გუგა) სუთიძე
მისამართი	თბილისი, ვაშლოვანის ქ., N 6
ტელეფონი	მობ: 5 99 48 91 84
პრეტენდენტის ფაქტიური მისამართი:	gugasutidze@gmail.com
დაბადების თარიღი, ადგილი	05. 11. 81, თბილისი

2. განათლება

უმაღლესი განათლება	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, რესტავრაციის განყოფილება; 1999-2005
კვალიფიკაცია	არქიტექტორ-რესტავრატორი სერტიფიკატი ქვის რესტავრაციისა და კონსერვაციის დარგში, კულტურის სამინისტრო, 2006

3. სამუშაო გამოცდილება

2013 - 2014	შატილის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი. თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი. უჯარმის ციხე-ქალაქის რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი. აღექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი. თუშეთში კვავლოს კოშკის რესტავრაციის პროექტი. ს. დართლოს აზომვითი სამუშაოები. თელავში ბატონის ციხის აზომვითი სამუშაოები.
2010 - 2013	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაკვეთით, ძველი თბილისი რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში. თბილისში - შენობა-ნაგებობების აზომვითი და საპროექტო სამუშაოები. ლიტერატურის მუზეუმის, ბოტანიკურის ქ. №30; თბილისის მეჩეთი ბოტანიკურის ქ. №32, გომის ქ. №7, №9; გომის ჩიხი №2, №4, №12-ში აღმაშენებელია გამზ. № 93, №98, №108, №118, №77, №82 №172, №174; ჯორბენაძის ქ. №18, №20, №9ა; თელავი – „ბატონის წყარო“, ერეკლე II-ს მოედანი №11; გ. სააკაძის ქ. №5.
2009	მუცო, აზომვითი სამუშაოები და საპროექტო სამუშაოები ხელმძღვანელი ი. ბანძელაძე, კომპანია "არსი",

2008	ბაგრატის საკათედრო ტაძრი, აზომვითი სამუშაოები
2007 – 2008	ICOMOS საქართველო. აბასთუმანი - მეფის ნაცვლის შენობების და აბანოს აზომვითი სამუშაოები. ქ. თბილისი - ეთნოგრაფიული მუზეუმი. ახალციხის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის შენობა ნეგებობების აზომვითი სამუშაოები ქ. თბილისი - ასათიანის და ტაბიძის ქუჩაზე მდებარე სახლების ფასადების აზომვითი და აღდგენა-რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები
2007	მცხეთის ჯვარი, აზომვითი სამუშაოები
2007	თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, აზომვითი სამუშაოები, შენობების რეკონსტრუქციის პროექტები
2007	თბილისის ისტორიული ძეგლები, აზომვითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტები
2006	ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი
2005	ბეთანიის მცირე ეკლესია, აზომვითი სამუშაოები, რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი
2004	ღურჯი მონასტერი, რეკონსტრუქციის პროექტი.
2004	მუცო, აზომვითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება, ხელმძღვანელი ი. ბანძელაძე, კომპანია "არსი", პროექტი "ქართული სახლი"

ზოგადი უნარები

კომპიუტერი:	AutoCAD, MS Office
ენები:	ქართული, რუსული, ინგლისური



ერეკლე ნაროუშვილი

ფანასკერტელის 14 კ. ბინა 66
თბილისი, საქართველო
ტელ: 599 / 617 518

e-mail: naroushvili@gmail.com
<http://www.archilovers.com/erekle-naroushvili>

დაბადების თარიღი 1981წ. 6 ნოემბერი

ბანათღობა

2002 - 2007

ქ. თბილისის სამხატვრო აკადემია. რესტავრაციის, ხელ. ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი; ფერწერის რესტავრაციის განყოფილება, მაგისტრი.

2004 - 2005

გერმანია, ქ. შტუტგარტის სამხატვრო აკადემია. რესტავრაციისა და კონსერვაციის ფაკულტეტი 2 სრული სემესტრი

2001 - 2002

გერმანია, ქადაქი პალბერშტატი. პრაქტიკული და თეორიული სწავლება - ისტორიული სახლების ფასადების რესტავრაცია, ტრადიციული მეთოდებით

1999 - 2001

ქ. თბილისის სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტი. ხატწერის ფაკულტეტი

პროფესიული გამოცდილება

2013-2014

შატილის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი.
თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი.
უჯარმის ციხე-ქალაქის რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი.
აღექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი.
თუშეთში კვაველოს კოშკის რესტავრაციის პროექტი.
ს. დართლოს აზომეითი სამუშაოები.
თელავში ბატონის ციხის აზომეითი სამუშაოები.

2010 - 2013

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაკვეთით, ძველი თბილისი რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში. თბილისში- შენობა-ნაგებობების აზომეითი და საპროექტო სამუშაოები. დიტერატურის მუზეუმის, ბოტანიკურის ქ. №30; თბილისის მუზეო ბოტანიკურის ქ. №32, გომის ქ. №7, №9; გომის ჩიხი №2, №4, №12-ში აღმაშენებელია გამზ. №77, №82 №172, №174; ჯორბენადის ქ. №18, №20, №9ა; ასევე შენობა-ნაგებობების აზომეითი სამუშაოები ბეთლემის ქ. №4; №6; №15; №17; №18. თელავი – შენობა-ნაგებობების აზომეითი და საპროექტო სამუშაოები: „ბატონის წყარო“, ერეკლე II-ს მოედანი №11; გ. სააკაძის ქ. №5. ქ. მესტია - ცენტრალურ მოედანზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აზომეითი სამუშაოები.

2012

ქართულ კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი, შ.პ.ს. „ 3DScanStudio“. დავით გაერჯის ღავერა, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარი,

ყვარლის მუნიციპალიტეტი, "დოლოჯოვის" მიდამოებში მდებარე სამნავიანი ბაზილიკა (არქეოლოგიური ძეგლი). 3D დაზერული სკანერი „Leica HDS“-ით, ციფრული დოკუმენტაცია და არქიტექტურული - არქეოლოგიური ანაზომების შესრულება (dwg ფორმატში).

2008 - 2010

შ.პ.ს. „რესტავრატორები და კონპანია“. ბაგრატის საკათედრო ტაძრის არქიტექტურულ - არქეოლოგიური ანაზომი, ესკიზური და რესტავრაცია - რეკონსტრუქციის პროექტი, მუშა ნახაზები. ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი I კორპუსის ფასადების აზომებით და საპროექტო სამუშაოები. თბილისში ინგოროყვას №14, ქურდიანის №17 და ჯავახიშვილის №6-ში მდებარე სახლების ფასადების აზომებით სამუშაოები.

2007 - 2010

საქართველოს ეროვნული არქივი. დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიის მთავარი სპეციალისტი

2008

შ.პ.ს. „ძველი გალაყანი“. ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. სოფ. არგვეთა - „დედაღვთისა“ აზომებით და საპროექტო სამუშაოები. გურჯაანის მუნიციპალიტეტი. „ვანნაძიანის ყველაწმინდა“-ს რესტავრაციის, კონსერვაციის და ადაპტაციის პროექტები.

2007 - 2008

ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობათა საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) საქართველო. აბასთუმანი - მეფის ნაცვლის შენობების და აბანოს აზომებით სამუშაოები. ქ. თბილისი - ეთნოგრაფიული მუზეუმი. ახალციხის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის შენობა ნეგებობების აზომებით სამუშაოები
ქ. თბილისი - ახათიანის და ტაბიძის ქუჩაზე მდებარე სახლების ფასადების აზომებით და აღდგენა-რესტავრაციის საპროექტო სამუშაოები

2007

ჯერის მონასტერი არქიტექტურულ-არქეოლოგიური აზომებით სამუშაოები.

2006

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის და getty ფონდი
მარტვილის დუთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი. XIV-XVII ს-ის კედლის მხატვრობის კონსერვაცია.

2005

G.B.H. "Thomas Wieck" გერმანია, ქ. ერბახი. "St. Martinus Kirche" XVI-XVII ს-ი კედლის მხატვრობის კონსერვაცია / რესტავრაცია

2003 - 2004

ფონდი "ქართუ". ქ. თბილისი, რუსთაველის სახელობის თეატრი. „ქიმერიონის“ ფერწერის კონსერვაცია / რესტავრაცია.

კომპიუტერი: AutoCAD, ArchiCAD, Photoshop,
MS Office, CYCLON, Claudwork

ენები ქართული, რუსული, გერმანული



რევაზ შაშვიაშვილი

CURRICULUM VITAE

დაბადების თარიღი: 26/04/1983

მისამართი: ქ.თბილისი, ც. დადიანის ქ. № 303, II სადარბაზო, ბ.№ 29.

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

ტელ.: (+99593) 46 52 22; (+99599) 37 99 17; (+99532) 69 40 56.

E-mail: rezoshashviashvili@yahoo.com

პ/ნ 01005008514

განათლება:

2008 – 2010 წ. – ქ. თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ფაკულტეტის ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტი.

2002 – 2007 წ. – ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.
სპეციალობა – არქიტექტორ-რესტავრატორი.

2000 – 2002 წ. – ქ. თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საღვთისმეტყველო ფაკულტეტის ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

2014 – “საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო” – მთათუშეთის სოფ. დართლოს სახლების № 18; 19; 24-1; 24-2; 49-1 რესტავრაციის პროექტი.

2013 – ქუვეითის სახელმწიფო, ქ. ქუვეითი, “დივანია“-სა და “აღ კასრი“-ს ანაზომები (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და ქუვეითის კულტურის სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში).

2013 – ქ. წყალტუბოში, ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს წმ. გიორგის სახ. ეკლესიის სახურავის შეცვლის პროექტი.

2013 – სამცხე. სოფ. თისელი. გუმბათიანი ეკლესია. სარესტავრაციო პროექტი (ხელმძღვ. ი. ბანძელაძე)

2013 – წყალტუბოს რ/ნი, სოფ. ფარცხანაყანევი. ქაშუეთის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის სახურავის შეცვლის პროექტი.

2013 – წყალტუბოს რ/ნი სოფ. გუმბრა. წმ. ბარბარეს ეკლესიის სარესტავრაციო პროექტი

2013 – ხაჩხერის რ/ნი. ძირულას ხეობა. ნასოფლარი ურუნა. ღვთისმშობლის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი

2010 - წყალტუბოს რ/ნი. სოფ. ოფშკვითი. ღვთისმშობლის ტაძრის სარესტავრაციო პროექტი

2009 – თეთრიწყაროს რაიონი. სოფ. გოლთეთი. კვირაცხოვლის ეკლესია, აზომვა-გამოხაზვა და პროექტირება AutoCAD ფორმატში.

2008-2009 – რაჭა, სოფ. ზემო ბარი; ჭბოს მთავარანგელოზის ეკლესია – აზომვა-პროექტირება AutoCAD ფორმატში, მშენებლობის წარმოებაში მონაწილეობა.

2008 – მცეთის ჯვარი, მცირე ტაძარი, რეაბილიტაციის პროექტი AutoCAD ფორმატში.

2008 – ხევსურეთი, სოფ. მუცოს აზომვა-გამოხაზვა AutoCAD ფორმატში.

2008 - ქბათუმი, აბაშიძის ქ. ყოფილი მუსიკალური სკოლა: ანაზომი, პროექტი AutoCAD ფორმატში.

2008 - ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქ. № 5, საჯარო ბიბლიოთეკის I კორპ: აზომვა-გამოხაზვა AutoCAD ფორმატში.

2008 - ქ. ქუთაისი, სახელმწიფო მუზეუმი: აზომვა-გამოხაზვა AutoCAD ფორმატში.

2007 - დმანისის რაიონი, "აბულბუკის ეკლესია" : აზომვა-გამოხაზვა AutoCAD ფორმატში.

2007-2008 - ქ. თბილისის მერია, "ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი" (OCD) არქიტექტორ-რესტავრატორის თანამდებობა (რუსთაველის პროსპექტის რეაბილიტაცია - რესტავრაციის პროექტირება; ლ. გუდიაშვილის ქ. №11ა და №9 რესტავრაციის პროექტი; ლ. გუდიაშვილის მოედანი, ახოსპირელის ჩიხი №3 ფასადის რესტავრაციის პროექტი) AutoCAD ფორმატში.

2006 - დავითგარეჯას უდაბნო, იოანე ნათლისმცემლის მონასტერი: აზომვა-გამოხაზვა.

2006 - ზუდაზნის ციხე და იოანე ნათლისმცემლის მონასტერი: აზომვა-გამოხაზვა.

2005 - სოფ. კავთისხევი „ღომისას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია“. აზომვა-გამოხაზვა.

2005 - სოფ. ნიზბის, „სასხორის მთავარანგელოზის სახელობის“ ეკლესია. აზომვა.

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

MS Word; Excel; Photoshop; AutoCAD; MS OfficeCYCLON, Cloudworks.

ენები:

ქართული - მშობლიური

რუსული - კარგად

ინგლისური - ელემენტარული

იტალიური - ელემენტარული



მუცოს კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოთა გეგმა-გრაფიკი

სამუშაოთა დასახელება		4 თვე											
		აგვისტო			სექტემბერი			ოქტომბერი			ნოემბერი		
1	განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა);												
2	ფოტოფიქსაცია: ხედები, ფასადები, ინტერიერი, დეტალები.												
3	არსებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომის დაზუსტება რეალური მდგომარეობის ასახვითა და ვლექტრონულ ფორმატში გადაყვანით (მასშტაბში გამოსაზღვრული კორექტირებული ანაზომი, მ. 1:50; დეტალები: მ. 1:25, 1:20, 1:10												
4	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემები და ტექსტური აღწერილობა;												
5	ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;												
6	არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); გენერალური გეგმა _ მ. 1:200; სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), შაბლონები, ფრაგმენტები, დეტალები 1:50, 1:25, 1:20, 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით												
7	კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით												
8	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;												
9	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.												

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი "ამქარი"
ხელმძღვანელი იოსებ ზანძელაძე



მუცოს კომპლექსი
რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა


20 ივლისი 2014 წელი

#	შესასრულებელი სამუშაო	ღირებულება ლარებში
	სრეაბილიტაციის პროექტის შედგენა	
1	განმარტებითი ბარათი	700.00
2	ფოტოფიქსაცია: ხედები, ფასადები, ინტერიერი, დეტალები.	406.80
3	არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომის დაზუსტება და სრულყოფარეალური მდგომარეობის ასახვით	3500.00
4	კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემების სრულყოფა რეალური მდგომარეობის ასახვით და ტექსტური აღწერილობა	1500.00
5	ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;	600.00
6	პროექტის არქიტექტურული ნაწილი:	7500.00
7	პროექტის კონსტრუქციული ნაწილი:	1300.00
8	სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი	500.00
9	ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა.	1000.00
	ჯამი	17006.80
	ზედნადები 12%	2040.82
	მოგება 5%	952.38
	ჯამი	20000.00

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი "ამქარი"
 ხელმძღვანელი იოსებ ბანძელაძე



მუცოს კომპლექსი



საკონკურსო განაცხადი
რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შედგენის მიზნით

კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის კავშირი "ამქარი"

ხელმძღვანელი იოსებ ზანძელაძე

თბილისი 2014



არქიტექტორ-რესტავრატორის რეკომენდაცია

მუცო პირიქითა ხევსურეთის მილმახევში, ანდაკისა და მუცოსწყლის (მახრაკულას) კლდოვან ხერთვისზე ტერასულად გაშენებული, მიკროურბანული გამაგრებული ნასახლარია.

ნაშენია ფიქალი ქვით. შემავსებლად გამოყენებულია კირი, თიხა და მიწა. ფიქალი აქვეა მოტეხილი, მთა-ქედის ორივე ფერდზე. კარიერის დამუშავებასთან ერთად განაშენიანების მოწყობის მიზნით შექმნილია ხელოვნური ტერასები, ხოლო მთის მწვერვალის უკეთ დაცვის მიზნით შევეული ქარაფები. შედეგად წარმოქმნილია ციტადელი და ორი უბანი: ქვემოთ დათაურთა, ხოლო ზემოთ შეთეკაურთა უბანი. მუცოში სახლობდნენ აგრეთვე ნაცაურნი, ჭინჭარაულნი და ბორჩაშვილები.

შუასაუკუნეების უნიკალური კომპლექსიდან შეტნაკლები დაზიანებითა და დანაკარგებით ჩვენს დრომდე მოღწეულია 53 ნაგებობა¹:

- 5 საბრძოლო კოშკი
- 23 ციხე-სახლი (აქედან 10 მიშენებაა, მათ შორის 7 ე. წ. “კარსე”)
- 1 ნაბინავარი ნასახლარის მისასვლელთან
- 1 ნაეკლესიარი
- 1 ხატი და 2 ნიში
- 19 აკლდამა
- 3 სამარხი.

მუცო საუკუნეების მანძილზე ზიანდებოდა ხანძრისა და მიწისძვრებისაგან. მიწისძვრისაგან წარმოქმნილი დეფორმაციები აშკარად ეტყობა ერთნაირად გადახრილ კოშკებს. მუცოს ნგრევა მისი მიტოვების შემდეგ დაიწყო. დიდთოვლობით და მოუვლელობით თანდათან ჩამოიქცა სიპიქის სახურავები, დაინგრა სართულშუა გადახურვები და ცალკეული კედლები. ზედა დონიდან ჩამოვარდნილი ქვა ანგრევდა ქვედა დონეზე არსებულ ნაგებობებს.

ამჟამად კედლების ზედა ნაწილები გამოფიტულია. ტერიტორია ფიქალის ნანგრევებით არის ჩახერვილი. ინტერიერში მცენარეულობაა. რამოდენიმე ნაგებობა კატასტროფის პირასაა. კედლის მასები დაბზარული და დეფორმირებულია. მათი ნგრევა სხვა შენობებსაც დააზიანებს და ნასახლარი სრულიად განადგურდება.

მუცოს არცერთი ნაგებობა არ არის მთელი. მაგრამ შემორჩენილი კედლების დაზიანების ხარისხის მიხედვით ნაგებობები სამ კატეგორიად დავყავით:

- სტაბილური – ნაგებობები, რომელთა კედლებს დეფორმაცია არ განუცდია დაზიანებული – დანგრეული, დეფორმირებული ან დაბზარული კედლებით
- ავარიული – შენობები, რომელთა ნგრევა ყოველ წაშს არის მოსალოდნელი. მუცოს შენობები როგორც აგებულებით, ასევე დაზიანების მახასიათებლებით ერთგვაროვანია. შესაბამისად ერთგვაროვანია მათი რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდი რაც გულისხმობს შემდეგი სამუშაოების განხორციელებას:
 1. ინტერიერისა და გარე ტერიტორიის გაწმენდა ნაშალისა და მცენარეებისგან;
 2. ხარაჩოს აგება ავარიული კედლის დაშლა-აწყოების ან საფასადო ბზარების ინექტირების მიზნით;²

¹ მუცოს შემოგარენში დაცული სხვა ეთნოგრაფიული სიძვედეები, ამჟამად მიტოვებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები: ბინები, ნაწისქვიდარები, ბოსდები და სხვა ამ პროექტში არ არის შესული და ცალკე კვლევის საგანია.

3. სართულშუა გადახურვის კოჭების აღდგენა და შეფიცვრა;
4. ბზარებისა, წყობათაშორის არეების ინექტირება ან ამოგოზვა კირის ხსნარით³, (ინტერიერში, კერის მიდამოებში კედლები თიხით უნდა ამოეგოზოს);
5. დეფორმირებული, დაბზარული ან გამოფიტული კედლების დაშლა და ხელახლა აწყობა თიხის შექცერელის გამოყენებით;⁴
6. ფიქალის საბურავის აღდგენა;
7. სართულშუა გადახურვების აღდგენა რეკონსტრუქციის პროგრამის შესაბამისად:
 - ა. კოჭებზე კავეების გაღება;
 - ბ. თიხატკეპნილი შრის მოწყობა;
 - ც. ფიქალის დაცვა.

ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოები ასახულია 2008 წელს შესრულებულ პროექტში. თუმცა გასული ოთხი წლის მანძილზე მიღებული დანაკარგები და დაზიანებები მოითხოვს დამატებითი კვლევების ჩატარებას და პროექტში ცვლილებების შეტანას. ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს სამუშაოთა განხორციელების ეტაპები. პირველ რიგში სარეაბილიტაციო სამუშაოები ავარიულ უბნებზე ჩატარდება, ხოლო შემდეგ ნაკლებად დაზიანებულ ნაგებობებზე. აუცილებელია წელსვე ჩატარდეს გამაგრება და რესტავრაცია შეთეკაურთა №25 კოშკს, №8 და №13 ციხესახლებს

მუცოს რეაბილიტაციის პროექტი არ არის სრულყოფილი, რადგან ძველი გასაწმენდა ჩახერგილობისგან. ნაშალ ფიქალში ჯერ კიდევ იკითხება გალავნის, შუკების და სხვადასხვა დონეთა დამაკავშირებელი კიბეების ნაშთები. განსაკუთრებით საინტერესოა ამჟამად სრულიად გამქრალი ვრდო-ბანები, რომელთა აღდგენის საშუალებას აქაიქ ფასადებზე შემორჩენილი საკოჭე ბუდის ნაშთი იძლევა. მუცოში სულ ცოტა 12 ვრდო უნდა ყოფილიყო. რეაბილიტაციის პროექტში რამდენიმე მათგანი გრაფიკულად არის აღდგენილი.⁵ ნასახლარის უბნების გაწმენდა ჩახერგილი ფიქალისგან დაგვემარების სურათს უფრო მკაფიოს გახდის, რამაც შესაძლებელია პროექტში ცალკეული ცვლილება მოითხოვოს.⁶

სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგაც კი კომპლექსის დაცვა შეუძლებელი იქნება მოსახლეობის დაბრუნების გარეშე. ამისათვის მინიმალური კომფორტული საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაა საჭირო. კეთილმოწყობის საინჟინრო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა ითვალისწინებს:

1. ავტონომიური ენერგომომარაგება – მიკროჰესი, (ფარული საკაბელო სადენი)

2 წყალგაყვანილობა – წყალსაცავიდან თვითდინებით.

³ აუცილებელია კირის პიგმენტაცია დამუკების მიზნით, ასევე ქვიშასთან ერთად პიდრავლური რეაგენტების დამატება

⁴ ასეთი კედლების დაშლამდე ადგილზე გასაკეთებელია დიობთა თარგები და ცალკეული ქვის მარკირება

⁵ ვრდო ხელსაქმის ადგილი იყო. აქ იქმნებოდა ხალხური რეწვისა განუმეორებელი ნიმუშები, რისგანაც სრულიად ხვესურეთია გამარცხვული. ამავე მიზნით აუცილებელია ბანების აღდგენა.

⁶ სულ შუკების ჩახერგილობის სავარაუდო მოცულობა 120 კუბური მეტრია გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი გახდება ამ კვანძების კონსერვაციის ან რეკონსტრუქციის პროექტის შემუშავება.

3. საკანალიზაციო ქსელი – შენიღბული შეშვრები მილი გაყვანილი მუცოს დასავლეთით მოწყობილი გამწმენდი ნაგებობისკენ
4. თბომომარაგება და კენტილაცია – ელ.დანადგარები
5. კომუნიკაცია – ინტერნეტი.

მუცოს რეკონსტრუქციის პროგრამა დაზუსტდება რეკონსტრუქცია-რესტავრაციის პროექტის შედგენის შემდეგ.

I ეტაპზე აუცილებელია კომპლექსის ძირითადი ნაწილის კონსერვაცია ძველის დაცვისა და უსაფრთხო ტურიზმისათვის;

II ეტაპზე უნდა ჩატარდეს ნაწილობრივი რესტავრაცია;

III - ეტაპზე შესაძლებელია ცალკეული ციხე-სახლების რეკონსტრუქცია (ინტერიერების აღდგენა საოჯახო ეთნოგრაფიული ინვენტარით, ხალხური რეწვის და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებით. დასაშვებია ადაპტაციაც მცირე საოჯახო ბიზნესის განვითარებისათვის).

ადაპტაცია-რეკონსტრუქციის და პერსპექტიული განვითარების პროგრამის შედგენისათვის აუცილებელია გლობალური კონცეფციის შემუშავება. რაც უნდა მოიცავდეს ეკოსისტემის დაცულობისა, ანტროპოგენული ზემოქმედების, დემოგრაფიულ, სოციოლოგიურ, ეთნოფსიქოლოგიურ ანალიზს. ამ საკითხების გათვალისწინებით შედგენილი პროგრამა ხელს შეუწყობს ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის განვითარებას, დაკარგული ხალხური რეწვის და გამოყენებითი ხელოვნების აღორძინებას, მომავალი თაობის განათლების სპეციფიკურ რეფორმას, საზღვრის დაცვას. კონცეფციამ უნდა მოიცვას ტურისტული ინფრასტრუქტურის დაგეგმარების და რეგიონის დაცული ტერიტორიების მდგრადი განვითარების საკითხები, პირიქითა ხევისურეთის ნაციონალურ ნაკრძალად გამოცხადების პერსპექტივით.

პროექტის განხორციელება მუცოს იხსნის განადგურებისაგან. ამუშავდება ძველის მუდმივი მონიტორინგის და დაცვის მექანიზმი. აიგება მიკროპესი. ამოქმედდება კომუნიკაციის საშუალებები, შეწყდება მიგრაცია. აღდგება სახელმწიფო საზღვრის დაცვის ისტორიული მოდელი "ოჯახი-მესაზღვრე". ტურიზმის განვითარებით და გამოყენებითი ხელოვნების აღორძინებით გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.



არქ.რესტ. ი. ბანძელაძე 18. 07. 2014

კომპლექსში შემავალი ნაგებობების და მათი ტექნიკური მდგომარეობის აღწერა:
 ციხე-სახლი №1-2-ით იწყება მუცოს განაშენიანების ქვემოთ გაშლილი დაიპურთა უბანი. ზომისა და აგებულების მიხედვით პირველადი №1 ნაგებობაა, რომელზეც შემდგომში უშუალოდ არის სამი კედლით მიდგმული შედარებით მომცრო და დაბალი №2 სადგომი. დამრეცი რელიეფის კარნახითვე მათი იატაკის დონეები აცდენილია ერთმანეთს. განსხვავებულია სართულიანობაც – ციხე-სახლის მთავარ (№1), სამსართულიან ნაგებობაზე მიშენებული დამხმარე სადგომი (№2) ორსართულიანია. ნაგებობების ზურგის კედლად ნაწილობრივ მკვეთრად დაქანებული კლდოვანი ფერდია გამოყენებული. მიწის ზემოთ ამ მხარეს საცხოვრებლის მხოლოდ ზედა სართული ამოდის.

მთავარ ნაგებობას მხოლოდ აღმოსავლეთის, გვერდითი კედელი აქვს სრულიად ყრუ, პატარა სასინათლო და სათავდაცვო სარკმელ-სათოფურები წინა, სამხრეთის საფასადო კედელსა და გვერდით კედელში ასიმეტრიულად აქვს განლაგებული. შედარებით იოლად მისადგომ დასავლეთის გვერდით ფასადზეა სხვადასხვა დერძზე განთავსებული ქვედა ორი სართულის თაღოვანი მოყვანილობის კარი და II სართულის, ასევე თაღით დასრულებული, თითქმის კვადრატული სასინათლო ღიობიც, რომელიც დამხმარე

სადგომის მიწენების გამო შემდეგ ინტერიერში მოქცეულა. რაც შეეხება III სართულის კარს, ის ზედა ტერასის დონეზეა გამართული ზურგის კედელში. ამავე მხარეს კედლად გამოყენებულ კედლის მასივს საფეხურისებური თაროები გასდევს სართულშუა გადახურვების დონეზე, რაც ჩანს კოჭების ჩამოსაყრდნობად იყო გამოკვეთილი. ამასვე ადასტურებს საპირისპირო მხარეს, სამხრეთის კედელში შემორჩენილია კოჭის ბუდეები. კედლის მასივის ინტერიერში მოქცევა და მისი ჩამოკვეთით თაროს მოშადება კონსტრუქციისთვის ხელს უწყობს სართულების მიხედვით ფართების მნიშვნელოვან ზრდას ზემოთკენ.

დაცულობა: ციხე-სახლი №1-2, მუცოს სხვა ციხე-სახლების მსგავსად მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია: ჩაქცეულია, როგორც სართულშუა გადახურვები, ასევე დამასრულებელი ბანური გადახურვა. კედლების ქვის წყობის ბოლო რიგები მთელ პერიმეტრზე ნაწილობრივ ჩამოშლილია.

ციხე-სახლი №3-4 მუცოს განაშენიანებაში მნიშვნელოვან და ინდივიდუალური გადაწყვეტის ურბანულ კვანძს ქმნის. იგი თავის გვერდით მდგომ – №5 გამაგრებულ საცხოვრებელთან ზედა სართულების ერთობანების რთული სისტემით ყოფილა დაკავშირებული, ხოლო ქვედა დონეზე, მათ შორის გამავეალი შუკა დაიაურთა უბნის განაშენიანების ზედა ტერასას უკავშირდებოდა.

№3 შედარებით უკეთ შემონახულ სამსართულიან, გამაგრებულ საცხოვრებელს წარმოადგენს. ამ შენობის კედლოვან შემადგენლობაზე ფარივით აღმართულ საფასადო სიბრტყეს აგრძელებდა №4 ნაგებობის ამჟამად დანგრეული წინა კედელი, რომელიც ამ ტერასის განაშენიანებას სამხრეთ-დასავლეთით ასრულებდა.

გვეგმაში წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის №3 ნაგებობას მუცოს მისადგომებისკენ მიმართულ სამხრეთის მთავარ ფასადზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის სამხერ-სათვალთვალო, თავდაცვითი (სამშვილდისრე, სათოფური) და სასინათლო სარკმლები აქვს დატანებული, ხოლო ყოველი სართულის დამოუკიდებელი შესახველელი გვერდით (ჩრდილო-აღმოსავლეთით) მდგარ №5 შენობასთან საერთო ეზოს მხარესაა. ნაგებობის ეს ორი, დიობებიანი კედელი ძირითადად სრული სიმაღლითაა შემორჩენილი და სავარაუდოდ, გადახურვის ზუსტ ნიშნულზე უნდა მიანიშნებდეს ორიოდვე შევრილი ფიქალის ფილა საფასადო კედლის კუთხეებთან. სახლი ყოველ სართულზე თითო სადგომს შეიცავს, ქვედა შედარებით ბნელი სართული, წესისამებრ ბოსლად იქნებოდა გამოყენებული, ხოლო მეორე და მესამე სართული, ჩანს, საცხოვრებელი იყო. თიხამიწით შეღესილი კედლები შეჭკარტლულია. შედარებით ვიწრო №4 ნაგებობა არასრული ორი სართულის სიმაღლით არის მოღწეული. შესახველელი №3-ის საპირისპიროდ, უკეთ შემორჩენილ მრუდხაზოვან დასავლეთის კედელში, ქვედა სართულის არეშია განთავსებული. ბოლომდე ჩამონგრეული სამხრეთის საფასადო კედლის გარდა ნაწილობრივ დაზიანებულია კედელზე დაფუძნებული უკანა კედელიც. ეს ორივე ნაგებობა ერთი ოჯახის კუთვნილებაში უნდა ყოფილიყო, თუმცა №4-ს სავარაუდოდ, დამხმარე-სამეურნეო დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა.

დაცულობა: მუცოს სხვა ციხე-სახლების მსგავსად №3-4 ნაგებობაშიც ჩაქცეულია სართულშუა გადახურვები, აღარ არსებობს არც დამასრულებელი ბანური სახურავი. ამასთან ერთად, ინტერიერი და მიმდებარე ტერიტორია სავსეა ნაშალი ქვის ფილებით. საზიარო კედელი სანახევროდ განადგურებულია, ხოლო №4-ის საფასადე კედელი აღარ არსებობს. №5 ციხე-სახლთან დამაკავშირებელი ტერასების სისტემაზე მხოლოდ ქვის კიბეები, ბურჯი და კედლებში შემორჩენილი ხის კოჭის ბუდეებიღა მოუთითებს.

ციხე-სახლი № 5 ძირითადად სრული სიმაღლით შემორჩენილი, ერთმანეთის თავზე განლაგებულ თითოსადგომიანი სამსართულიანი სახლი კედლის პირზეა წამომართული და ვიწრო კედლის მხრიდან კოშკით გამოიყურება.

№3 და 5 სახლები ერთმანეთისკენ ფასადებითაა მიმართული. ამ მხრიდან, №5 ციხე-სახლი სამივე სართულის კარით გამოდის. დიობები II და III სართულზე – დიაგონალზე ღაგდება. I სართულის – იგივე ძირის თვალის, საძროხეს თითქმის ორქანობა კარის დიობის წინ მაღალი თაღოვანი გვირაბით გამოშენებული, კარიბჭისებრი მოცულობაა მიდგმული, რომლის ზემოთ შექმნილ ბაქანზე ზედა ქუჩიდან ამაველი ვიწრო და დიდი ფილებით გამართული, მკარად ნაგები

ექსსაფეხურიანი კიბე ადის. ბაქანი II სართულის კარის წინ იშლება. კარის კარგად გამოყვანილთაღოვანი დიობი შესანიშნავი, სწორზედაპირიანი ზღუდარისა და განსაკუთრებით კი ორსაფეხურიანი ზღურბლის კარგად შერჩეული დიდი ფილებით იქცევეს ყურადღებას. კარის საურდულე ხერვილიც კი, დიდი და მძლავრი ურდულისთვის ჩანს გამართული.

ფიქალის ფილებით ნაშენ კედლებში მოწანარევი ხსნარია გამოყენებული. ქვედა სართულის კარის თავზე, გარედან, წყობაში ჩატანებული ფიქალის თხელი ფილის ნაშეერი თაროს ქმნის, რაც შესაძლოა, ტრაქის დასადგმელად გამოიყენებოდა. რაც შეეხება სასინათლო დიობებსა და სათოფურისა, თუ საისრე ხერვლებს, ისინი ძირითადად წინა კედელშია მოწყობილი და მუცოში ქვემოდან მომავალ ბილიკებს აკონტროლებს. მესამე, დამასრულებელ სართულს ამავე მხარეს, კედლის შუა მონაკვეთში ფართო სასინათლო დიადი აქვს.

დაცულობა: ციხე-სახლი №5, მუცოს სხვა ციხე-სახლების მსგავსად მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია: ჩაქცეულია, როგორც სართულშუა, ასევე დამასრულებელი გადახურვები; პერიმეტრზე ნაწილობრივ მორღვეულია კედლების ქვის წყობის ბოლო რიგები

ციხე-სახლი № 6 სამხართულიანია. ერთ-ერთი კარგად ნაგები და შედარებით უკეთ შემონახული გამაგრებული საცხოვრებელია, რომლის ენთაზისიანი სილუეტით გადახურვის გარეშე სრული სიმაღლით იკითხება. კედლოვან სუბსტრუქციაზე დაფუძნებულ, ვერტიკალური გვემარების კოშკისებურ ნაგებობას თითო, შედარებით სწორი გეომეტრიული ფორმის მართკუთხა სათავის აქვს ყოველ სართულზე. საკმაოდ განიერი კედლები ზემოთ ვიწროვდება. სართულშუა გადახურვის კონსტრუქცია კოჭებსა და კედლების გასწვრივ გაყოლებულ ფიქალის ნაშეერ თაროებზე იყო ჩამოყრდნობილი. ყოველი სართულის სადგომს, სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე თავისი დამოუკიდებელი კავშირი აქვს გარემოსთან - I და III სართულის კარი კოშკისკენ მიმართულ, დასავლეთის კედლის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კუთხეებთან, ხოლო II სართულის შესასვლელი უკანა, ჩრდილოეთის კედლის დასავლეთის კუთხესთან ახლოსაა გამართული. I და II სართულის მიწისპირა კარებისგან განსხვავებით, III სართულის სიმაღლეზე გაჭრილ კართან, მის გვერდით შემორჩენილი ბუდე შიანიშნებს, რომ ასვლა აქ ჩამაგრებული კოჭისა და მისადგმელი კიბის საშუალებით იყო შესაძლებელი. კარის დიობები საკმაოდ მაღალია და ზემოთ შევიწროებული, სუსტად გამოხატული თაღოვანი დასრულებით, ტრაპეციული მოყვანილობისა უფროა. ქვემო, შედარებით ბნელი სართული ჩანს, ბოსლად იყო გამოყენებული, II - საცხოვრებელ სართულს მთავარი ფასადის შუაში განთავსებული თაღოვანი მოხაზულობის, შიგნით შემკლავების და ნაოთხალი წითხლების საშუალებით გაფართოებული, მაღალ შუბლიანი სარკმელი აქვს. ამავე კედელში, სარკმილიდან აღმოსავლეთით, ასევე თაღოვანი მოყვანილობის თახჩაა. მესამე სართულის სათავის, რომლის კედლები საგრძნობლადაა შევიწროებული, ფასადის შუა ნაწილში დიდი, სწორკუთხა სასინათლო დიადითაა გახსნილი, კარის საპირისპირო მხარეს ერთი სარკმელია დატანებული.

დაცულობა: ციხე-სახლი №6 მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია: ჩაქცეულია, როგორც სართულშუა, ასევე დამასრულებელი გადახურვები, თუმცა სიმაღლის ნიშნული ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მტავარი ფასადის აღმოსავლეთის კუთხესთან შემორჩენილი გადახურვის ფილის მიხედვით. პერიმეტრზე ნაწილობრივ მორღვეულია კედლების ქვის წყობის ბოლო რიგები. საყურადღებოა, აღმოსავლეთ კედლის წვრილ-წვრილი ბზარები.

კოშკი № 7

მუცოს ტერასულ-ბანიან განაშენიანებაში მნიშვნელოვანი ვერტიკალური მახვილი შუაქვს დაიაურთა უბნის კოშკს (№7), რომელიც ურბანული განაშენიანების ხუთ ანალოგიურ კოშკს შორის დღემდე ყველაზე საღად არის მოღწეული. მას ლოგიკურად უკავია ქვედა უბნის ცენტრალური მდებარეობა და ირგვლივ იკრებს გარშემომდებარე ციხე-სახლებს. გამორჩეული სილუეტის მქონე ნაგებობა მასშტაბურობით და კარგი პროპორციით ხასიათდება და მიუხედავად დროთა ეთარებაში შექმნილი დეფორმაციებისა ხუროთმოძღვრული სხეული მონოლითურობას და სიმწყობრეს

ინარჩუნებს. ოთხი სართულისგან შემდგარი, გვერდით კვადრატული კოშკი, თუ არ ჩათვლით განადგურებულ გადახურვას, სრული სიმაღლითაა შემორჩენილი. კოშკის ღიობები ანდაქის ხეობისა და მუცოს მისადგომების გადამყურე სამხრეთის საფასადო კედელზე, ერთ ვერტიკალურ ღერძზეა განლაგებული. კოშკს ძირი ჩაკირული აქვს და კარის ღიობი საკმაოდ მაღლა, 3 მ-ის სიმაღლეზეა გამართული. მისი ფორმა მუცოს არქიტექტურაში საზოგადოდ მიღებული ზემოთ შევიწროებული თაღოვანი მოყვანილობისაა, რასაც ფიქალის ფილების საფეხუროვანი, კონსოლურად გადმოწეული წეობა შემოწერს. ასეთივე ფორმის, შემცირებული მასშტაბის ღიობი განთავსებულია II სართულზე თაღით დასრულებული, თითქმის კვადრატული სარკმელია III სართულზეც ამავე ღერძზე, ხოლო დამასრულებელი, საბრძოლო, IV სართული ოთხივე მხარეს ფართო ღიადებითაა გახსნილი, რომელთაც ძირში, ორივე მხრივ, კოჭის ბუდეები ახლავს.

დაცულობა: კოშკს, ჩანს მიწისძვრისაგან მიღებული აქვს დეფორმაცია, სიღუპტის სისწორე დარღვეულია და გადახრილია გვერდზე აღმოსავლეთისკენ; მუცოს ციხე-სახლების მსგავსად დაიაურთა უბნის კოშკის სართულშუა გადახურვებიც ჩაქცეულია, აღარ არსებობს არც დამასრულებელი სახურავი. წინა კედელს კარის ღიობს ქვემოთ ბზარი ჩასდევს. წერილი ბზარები შეინიშნება ცალკეულ მონაკვეთებში.

ციხე-სახლი № 8

მუცოს ურბანულ განაშენიანებაში კომპლექსს ქმნის დაიაურთა უბნის კოშკი და მასზე სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან მიშენებული ციხე-სახლი (№8). ეს სამსართულიანი ნაგებობა ოპტიმალურად იყენებს კოშკსა და მის სამხრეთ-დასავლეთით, ფრიადო კლდემდე არსებულ მცირე ბაქანს, მიყვება მის კედლებს და შემოწერს თავისუფალ, ტრაპეციისებურ მოხაზულობას, რომელშიც კოშკის დასავლეთის კედელი დამატებით წახნაგად ერთვება.

ციხე-სახლის შთავარი ფასადი, განაშენიანების სხვა ნაგებობათა მსგავსად ხეობისკენ არის მიმართული და დატვირთულია სხვადასხვა ზომის და ფორმის თახჩებით. ამავე მხრიდან ყოველი სართულის სადგომი თითო, საკმაოდ მოზრდილი თაღოვანი დასრულების კვადრატული სარკმლით იყო განათებული, რომელთა ღიობი შიგნით მკვეთრად გაფართოებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერიერში კუთხის სამკუთხა შემკრავი ფილების და სხვადასხვა ადგილას წეობიდან გამოწეული ფილების საშუალებით თაროებია შექმნილი. ერთიანი, სუსტნაშვერიანი თარო გახდევს კედელს I და II სართულის ჭერის დონეზეც, ჩანს სართულშუა გადახურვის კონსტრუქციის გასამართად, რაც სიმაღლის მატების პარალელურად კედლის სიგანის კლებას იწვევს. მესამე სართულის კარი საპირისპირო კედელში, მიწიდან საკმაოდ მაღლაა გამართული და ჩანს, მისადგმელი კიბის საშუალებით ხდებოდა მასთან დაკავშირება.

დაცულობა: მუცოს სხვა ციხე-სახლების მსგავსად №8 ნაგებობაშიც ჩაქცეულია სართულშუა გადახურვები, აღარ არსებობს, არც დამასრულებელი ბანური სახურავი; მთლიანად არის ჩამოქცეული №11 ნაგებობისკენ მიმართული გვერდითი კედელი, დანგრეულია შუკისკენ გამავალი კედლის ბოლო მონაკვეთი და ნაწილობრივ სამხრეთ-დასავლეთის საფასადო კედლის კუთხე, როგორც ინტერიერი, ისე კედლების მიმდებარე გარე ტერიტორია ჩამოშლილი ფიქლის ფილების გროვებითაა ჩახურცილი.

ციხე-სახლი № 9-10 დაიაურთა უბნის განაპირა აღმოსავლეთის მდებარეობა უკავია, ამ ნაგებობასა და მის წინ აღმართული №5 ციხე-სახლის მაღალ ზურგს შორის ვიწრო შუკა გადის. ზურგით კედელსთან მჭიდროდ მიკრული ორსადგომიანი საცხოვრებელის რთული კონფიგურაციის გვემას არასწორი გეომეტრიული მოხაზულობა აქვს, რელიეფიდან გამომდინარე კედლის დიდი ფრაგმენტები შემოჭრილია ორივე სადგომის ინტერიერში.

ძირითად, №9 სამსართულიან ნაგებობას, რომელმაც მხოლოდ ორი სართულის სიმაღლით მოაღწია დასავლეთიდან, №6 ციხე-სახლამდე, ნანგრევებით ამოვსებული დიდი ეზო ბაქანი ემიჯნება. ამ მხარეს ნაგებობის გვერდითი კედელი დანგრეულია, სავარაუდოდ კარი კედლის წინა ნაწილში უნდა ყოფილიყო განთავსებული. ქვედა, სამეურნეო სართულის ფართობი ინტერიერში შემოჭრილი კედლის გამო შედარებით

მცირეა; ეს სათავეს ცუდად უოფილა განათებული. რაც შეეხება II, ძირითად საცხოვრებელ სართულს, ის ნათდებოდა მთავარი ფასადის მხრიდან განთავსებული საკმაოდ მოწრიული, თაღოვანი, ფართო ორი სარკმლით. სართულშუა გადახურვისთვის, ამავე კედელს მთელ სიგრძეზე გახდევს ფიქალის ფილების შვერილი თარო. №9 ნაგებობას მიშენებული სადგომის ორივე სართულთან დამაკავშირებელი კარი მომიჯნავე კედლის წინა კუთხეში, ორ იარუსად აქვს განთავსებული.
დაცულობა: სხვა ნაგებობათა მსგავსად №9-10 ციხე-სახლიც მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია. ჩაქცეულია სართულშუა გადახურვები, აღარ არსებობს არც დამასრულებელი ბანური სახურავი. დანგრეულია №9 ნაგებობის გვერდითი კედლის დიდი ნაწილი. მესამე სართული განადგურებულია. ამასთან ერთად, კედლებში ბზარებია, მთავარი საფასადო კედლის მარცხენა კუთხესთან წყობა გამჭოლადაა გარღვეული და ავარიულ მდგომარეობაშია.

ციხე-სახლი № 11 გვერდით წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის, ოთხსართულიანი ნაგებობა ძირითადად სრული სიმაღლითაა შემორჩენილი. თუმცა გადახურვის ზუსტ ნიშნულს ჩვენამდე არ მოუღწევია, კედლების საერთო პერიმეტრზე დღემდე აისახება ის მცირე დაქანება საფასადო კედლისაკენ, რაც ბანს უნდა ექონოდა. სახლი ყოველ სართულზე თითო სადგომს შეიცავს, დამოუკიდებელი შესახველებით სამი მხრიდან. კარის ღიობები მუცოს არქიტექტურაში საზოგადოდ მიღებული - ზემოთ შევიწროებული თაღოვანი მოყვანილობისაა, რასაც ფიქალის ფილების საფეხუროვანი, კონსოლურად გადმოწეული წყობა შემოწერს. მიუხედავად საერთო მსგავსებისა, მათი მოყვანილობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურია, რაც ხალხური ოსტატის მიერ განხორციელებულ მშენებლობის პროცესს აცოცხლებს. ყურადღებას იქცევს ციხე-სახლის ჩრდილო-დასავლეთის გვერდით ფასადზე განთავსებული შედარებით დაბალ, მესამე სართულთან დამაკავშირებელი კარის კონუსური მოყვანილობა, რაც, ჩანს, საქონლის სადგომის ფუნქციით იყო ნაკარნახევი. ანდაქის ხეობისა და მუცოს მისადგომების გადამყურე საფასადო კედელი დატვირთულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის სამხერ-სათვალთვალო, სამშვილდისრე, თუ სათოფური ღიობებითა და სასინათლო სარკმლებით.

№11 ციხე-სახლის კედლის წყობაში ფიქალის ფილები მსხვილმარცვლოვან ხრეშმერეული, მიწანარევი ბათქაშით არის შეკავშირებული. კედლის ზედაპირი შიგნით ნაღესობით ყოფილა დაფარული, რომლის დიდი ფრაგმენტები უმეტესად IV სართულზეა შემორჩენილი.

დაცულობა: მუცოს სხვა ციხე-სახლების მსგავსად №11 საცხოვრებელ სახლშიც ჩაქცეულია სართულშუა გადახურვები, აღარ არსებობს არც დამასრულებელი ბანური სახურავი. ამასთან ერთად, მორყეულია ქვის წყობა საფასადო კედელში შიდა მხრიდან არსებული კოჭის ბუდეებისა და ღიობების მომიჯნავე უბნებზე.

ციხე-სახლი № 12 ძლიერი დაზიანების გამო არქიტექტურული სახე დაკარგული აქვს. ერთადერთი შემორჩენილი ღიობი - I სართულის შესახველელი კარია, რომელიც განთავსებულია წინ, მოშორებით მდებარე №6 გამაგრებული საცხოვრებლისკენ მიმართულ სამხრეთის კედელში. ეს ღიობი თავისი მოყვანილობით და კონსტრუქციული გადაწყვეტით ანალოგიურია მუცოს ნაგებობებში გავრცელებული ღიობებისა - მისი თაღოვანი დასრულება ფიქალის ფილების თანდათანობითი კონსოლური გადმოწევითაა მიღებული, შიგნიდან კი ღიობის თაღი წირთხლის ნაოთხალების საშუალებით ფართოვდება, მაღლდება და უფრო დიდ თაღში გადადის. ნაგებობის შიგნით და მისი კედლების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოშლილი წყობა ნანგრევების დიდ გროვებს ქმნის. საგულისხმოა, რომ შემორჩენილ კედლებს გარკვეულ ნაწილებში უფრო წერილი ქვის წყობით შეკეთების კვალი ატყვია.

დაცულობა: ციხე-სახლი №12 მუცოს მძიმედ დაზიანებულ, სანახევროდ ნანგრევებად ქცეულ ნაგებობათა შორისაა. პერიმეტრზე ნაწილობრივ ჩამოშლილია კედლების ცალკეული მონაკვეთები; გადარჩენილი კედლები არასრული სიმაღლითაა მოღწეული, არ დგინდება სართულიანობა, ერთი კარის გარდა სხვა ღიობი არ შემორჩენილია.

ციხე-სახლი № 13. ორსართულიანი, გეგმაში მართკუთხა ფორმის (9,5X7მ) შენობა ნაგებია ფიქალი ქვით ტალახის ხსნარზე. I სართული ჩრდილოეთით მიმართული ზურგიით კლდეშია შეჭრილი და კედლად კლდე გამოყენებული. ციხე-სახლი ტერასულად განვითარებული საინტერესო და ფუნქციურად გამართული კიბეთა სტრუქტურით გამოირჩევა (კიბის საფეხურები მშრალად ნაწყობი განიერი სიბი ქვებია). ოთხივე სართულს შესასვლელები აღმოსავლეთ ფასადიდან პქონდა ამ მხარეს კედელი მთლიანად დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ II სართულის კარის მარჯვენა ნაოთხალი წითელი ჩარჩოს და კარის ჩასარაზი ძელის ფოსობით. I სართულზე მოხვედრა ხდებოდა I სართულის დონის ქვევით, აღმოსავლეთით განვითარებული, ჩრდ. ზურგიით კლდეში შეჭრილი, გეგმაში ოდნავ წაგრძელებული, მცირე ზომის დამხმარე ტერასი-სადგომიდან, სადაც ციტადელზე ამაველი ბილიკის განშტოებიდან (რომელიც №16 სახლისკენ მიემართება), აღმოსავლეთის მხრიდან ჩადის კიბე და ამ ხათავის გავლით, ასევე კიბით უერთდება მარცხენა კუთხეში მდებარე კარს. II სართულის კიბეც ამ სადგომიდანაა გამართული. III სართულზე ამაველი კიბეები ჩრდილოეთ ფასადის წინ მდებარე მცირე მოედნიდან არის მოწყობილი. კარი აქ მარჯვენა კედელში უნდა ყოფილიყო. IV სართულზე ასასვლელი, სავარაუდოდ, III სართულის ჭერში უნდა ყოფილიყო გაჭრილი.

დაცულობა: ციხე-სახლის სამხრეთი კედლის მარჯვენა ნახევარი ჩამონგრეულია და შემორჩენილ ნაწილში I და III სართულების თითო სარკმელია. ჩრდილოეთი კედელი ყრუა (აქ მხოლოდ II სართულზე კედლიდან ნაშვერი ერთი თაროა). დასავლეთით I სართულის გადახურავი კოჭების ორი ბუდეა, II სართულისთვის – ერთი მოზრდილი ცენტრში, რომლის თავზე კედელს მთელს სიგრძეზე კოჭების ჩამოსადებად თარო გასდევს და ჩრდ. კედელზეც გრძელდება. მესამე სართულის გადახურვისათვის სამი ბუდეა, ხოლო IV სართულის გადახურვის დონე არ შემორჩენილა. მარცხენა და მარჯვენა კუთხეებში სამკუთხად ნაშვერი ჩამკეტი თაროებია კედლის წყობაში ჩატანებული. • შენობის კონსტრუქციული მთლიანობა დარღვეულია. აღმოსავლეთ კედლის დიდი ნაწილი, სამხრეთი კედლის ნახევარი და ჩრდილოეთ კედლის ზედა ნახევარი გადახურვებითურთ ჩაქცეულია

შენობის კონსტრუქციული მთლიანობა დარღვეულია. აღმოსავლეთ კედლის დიდი ნაწილი, სამხრეთი კედლის ნახევარი და ჩრდილოეთ კედლის ზედა ნახევარი გადახურვებითურთ ჩაქცეულია

ციხე-სახლი № 14 მუცოს ურბანულ განაშენიანებაში არსებულ შეწყვილებულ ციხე-სახლებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითად ნაგებობას წარმოადგენს, როგორც მასშტაბით, ასე არქიტექტურული დამუშავებით, ხოლო მასზე მიდგმული მეორე ნაგებობა შედარებით მცირე მასშტაბით, დაბალი სართულიანობით და დამუშავების სიმარტივით ხასიათდება, რაც მის დამხმარე-სამეურნეო დანიშნულებაზე უნდა მიანიშნებდეს, №13 და №14 ციხე-სახლები ერთგვარად თანაბარმნიშვნელოვნად გამოიყურება. ციცაბოდ ამართულ კედლოვან კონცხზე დაშენებული ამ წყვილი ნაგებობით იწყება შეთქაურთა უბანი, სადაც კედლოვანი ბილიკითაა შესაძლებელი ასვლა.

№14 სამსართულიანი ციხე-სახლი სამი კედლით უშუალოდ ებჯინება №13-ის დასავლეთის კედელს, თუმცა კარით არ არის დაკავშირებული მასთან. თვალშისაცემია ნაგებობის ერთი სართულით მაღალი უკანა კედელი, რომელიც №13-ის საზიარო კედელთან ერთად ჩანს, მხოლოდ ნაწილობრივ ფარგლავდა ორი მხრიდან ღია, ბანით დასრულებულ III სართულს.

I და II სართულის თაღოვანი შესასვლელები დასავლეთის კედელში აქვს გამოღებული. ამავე მხარეს ზურგის კედელთან გამავალი შუკისგან მცირე ეზოს გამოსაყოფად ზღუდეა აშენებული, რომელიც მთავარი ფასადის ჩრდილო-დასავლეთ კუთხის მიმართ პერპენდიკულარულად არის მიმართული. ამ კედელს შუკის მხრიდან ქვის დიდი ფილების გამოყენებით მშრალად ნაწყობი მაღალი კიბე ასდევს II სართულის კარამდე; კიბის ბაქანს ქვეშ შექმნილი გასასვლელით შემოფარგლული ეზოს არეში მოქცეულ ქვედა სართულის კართანაა შესაძლებელი დაკავშირება. ამავე ფასადზე ქვის წყობაში გამოღებული კოჭის ბუდეები მიუთითებს სხვადასხვა დონეზე გამართული ურდოების არსებობაზე თავის დროზე. ნაგებობის ინტერიერში II სართულის კედლებს უხეშად წახმული მიწანარევი შეღვსილობა აქვს ფრაგმენტულად

შერჩენილი, რაც ამ სართულის საცხოვრებელ დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს. წინა კედლის შუა ხაზზე ორივე სართულის სადგომს თაღოვანი სარკმლებია განთავსებული.

დაცულობა: მუცოს სხვა ციხე-სახლების მსგავსად №14 საცხოვრებელ სახლშიც ჩაქცეულია სართულშუა გადახურვები, აღარ არსებობს არც დამასრულებელი ბანური სახურავი. ჩვენამდე ვერც კრდომ მოაღწია.

ციხე-სახლი № 15 მდებარეობს გამაგრებულ ნასოფლარ მუცოს ზედა და ქვედა – დაიაურებისა და შეთეკაურების უბნის მოჯნაზე, ქვედა უბნის უკიდურეს განაპირა აღმოსავლეთის ნაწილში. ერთი მოგრძო, მართკუთხა ნაგებობისა და მასზე დასავლეთის მხრიდან საფასადო კედლის გაგრძელებაზე მიშენებული ზღუდისგან შემდგარი ციხე-სახლი რთულ და მიუდგომელ ადგილზეა აგებული. მთავარი სადგომის ზურგის კედლად შვეული კლდეა გამოყენებული, ვიწრო, აღმოსავლეთის კედელიც ციცაბო ფერდობზეა დაფუძნებული, ხოლო ფასადი ასევე, დამრეცი კლდოვანი ფერდისკენაა მიმართული. ძლიერი დაზიანებით გამოწვეული ჩახერგილობა კიდევ უფრო მიუდგომელს ხდის სახლს. შიგნით ამოსული ხშირი და მაღალი ჭინჭრები ინტერიერის დათვალიერების საშუალებას არ იძლევა და მესამე კედელი, რომელიც სათავეს უნდა კრავდეს კლდოვან ზურგთან, არ იკითხება.

ციხე-სახლის წინა კედელი საკმაოდ მაღალია, სავარაუდოდ ორი სართულის სიმაღლისა, თუმცა ზედა ნაწილში შემორჩენილ, ნაწილობრივ დაზიანებულ სარკმლამდე ყრუდ ამოდის. ზღუდე ოდნავ შიგნითაა დაწეული ნაგებობის საფასადო სიბრტყიდან, თუმცა იმავე ხაზს აგრძელებს.

დაცულობა: ციხე-სახლი №15 მუცოს მიძიმედ დაზიანებულ ნაგებობებს მიეკუთვნება. გადარჩენილი კედლები არასრული სიმაღლითაა მოღწეული, ინტერიერში მოხვედრა მიუდგომელი რელიეფის, ჩახერგილობისა და ხშირი და მაღალი ჭინჭრის გამო, შეუძლებელია. სართულიანობა არ დგინდება, კარი არ შემორჩენილია.

ციხე-სახლი №16 მდებარეობს შეთეკაურების უბნის უკიდურეს აღმოსავლეთით, ისე რომ აღმოსავლეთის ფასადით მუცოს წყლის ვიწრო ხეობას გადაკურებს. გვერდში მართკუთხა ფორმის სამსართულიანი შენობა ნაგებია ფიქალი ქვის მშრალი წყობით. ჩრდილოეთის ზურგით და დასავლეთ ფასადის მარცხენა ნაწილი პირველ-მეორე სართულების დონეზე კლდეშია შეჭრილი, დასავლეთ ფასადის მარჯვენა კიდეში 2 მ. სიგრძისა და ორი სართულის სიმაღლის ყრუ, შვერილი კედელია ამოყვანილი. შესასვლელი კარი სამივე სართულს დამოუკიდებლად აქვს გაჭრილი და მარჯვნიდან მარცხნივ (სართულების შესაბამისად), საფეხურებბრეად ვითარდება, ისე რომ მესამე სართულის კარი ცენტრში ექცევა. სამივე კარი მსგავსი ფორმისაა: ნაოთხალი წითხლებით, რომელთაც ჩარჩოსა და ჩასარახი ძელისთვის ფოსოები აქვს დატოვებული. მათი ზედა ნაწილი კონსოლისებურად თანდათან გადმოწეული სიკვებით ისრული თაღის ფორმას იძლევა. I სართულზე მხოლოდ ერთი ვიწრო სარკმელია სამხრეთ კედელში და ერთიც ნიშა. შიგნით აღმოსავლეთ კედელს სარტყელი გასდევს (ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში II სართულზე ასახვლელი სიპი ქვის კიბე ჩანს). II სართულის სამხრეთ კედელში ასიმეტრიულად გაჭრილი მოზრდილი სარკმელია ნაოთხალი წიბოთი და ერთი ვიწრო საკვამური სარტყელის ქვეშ. აღმოსავლეთ კედელში ერთი სარკმელია ნაოთხალი ცალი წიბოთი (მის თვზე შიგნიდან ხის ფიცარია ჩასმული სარკმლის ჩასარახად) და ორი ფოსო კოჭისთვის (მარჯვენა გამჭოლია), ანალოგიურია მოპირდაპირე კედელზეც. ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში კუთხის შემკურელი თითო სიპი ქვის სამკუთხა თაროა, ხოლო სამხრეთ დას. კუთხეში წვეილი. მესამე სართულის სამხ. კედელში სიმეტრიულად განთავსებული ორი მოზრდილი სარკმელია ნაოთხალი წიბოებით, ასეთივე სარკმელია აღმოსავლეთ ფასადის მარჯვენა ნახევარში. ოთხივე კუთხეში წვეილ-წვეილი კუთხის ჩამკეტი სამკუთხა თაროებია. დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში შემორჩენილია სამ-სამი ფოსო სახურავის კოჭებისთვის, რომელიც ბანური იყო, ბანზე მოხვედრა კი ჩრდილოეთის ტერასიდან ხდებოდა. III სართული შიგნიდან შეღვსილია ტალახით. დასავლეთ ფასადზე შვერილ კედელსა და ჩრდილოეთ ტერასაზე გადებული ძელებით III სართულის აივანი იყო მოწყობილი.

დაცულობა: სხვა შენობებთან შედარებით №16 სახლი გაცილებით ახალია, თუმცა პირველი-მეორე სართულის ქვის წყობა განსხვავდება III სართულისაგან (უფრო მსხვილი ქვებია გამოყენებული). სახლის კედლები ურყევეა, ბზარები არ შეინიშნება. III სართულის კარის თავზე მოთავსებულ მოგრძო ქვაზე ამოკვეთილია ერთი ჯვარი და ორი სპირალის ფორმის კუდიანი პიქტოგრამა. კოშკის გადახურვა და სართულშუა კონსტრუქციები ჩამოქცეული. დაზიანებულია ბოლო სართულის კედლების ზედა ნაწილები. სხვა მხრივ, მუცოს კომპლექსში მდებარე საცხოვრებელ თუ სათავდაცვო ნაგებობებთან შედარებით შენობა №16 კონსტრუქციულად მყარია

ციხე-სახლი №17 მდებარეობს შეთაკურების უბნის ცენტრალურ ნაწილში. ნაგებია ფიქალი ქვებით ტალახის ხსნარზე. გეგმაში მომრგვალებული, მართკუთხა ფორმის (6,5X4მ.) ორსართულიანი შენობის I სართული ჩრდილოეთის ზურგიით კლდეზე მიბჯენილი, ხოლო დასავლეთის კედლად №18 სახლის კედელია გამოყენებული. პირველ სართულს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს მარჯვენა კიდეში და ვიწრო შუკაში გამოდის. კარის წირთხლები ნაოთხალია და ფოსოები აქვს კარის ჩასარაზად. შეისრული გადახურვა ჩამოვარდნილია, მაგრამ კარის თავზე შემორჩა პორიზონტალურად ნაშვერი თავსართი. დასავლეთისკენ სამხრეთის კედელი ოდნავ ირკალება და №18 სახლის კედელს ებჯინება. ინტერიერში: I სართულს სარკმელი ერთი აქვს, დასავლეთით და ისიც №18 შენობის აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი. ჩრდილოეთი კედლის მარცხენა კიდეში მოზრდილი ნიშაა, მარჯვენა კიდეში კი პატარა. ასევე მოზრდილი ნიშის კვალი ჩანს მარჯვენა ნახევარშიც. სამხრეთ კედელში ერთი გამოვლესილი, ნახანძრალი ნიშა და კოჭის ორი ბუდეა. თითო კუთხის ჩამკეტი სიბები სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით სამკუთხა თაროებს ქმნიან. II სართული სანიაჯოა (სახაფხულო სადგომი), ყოფითი დანიშნულებისა და მისი ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლები სანახევროდაა გახსნილი. შესასვლელი ჩრდილოეთიდან, კლდესა და კედელს შორის დატოვებული ვიწრო ბილიკიდან აქვს აღმოსავლეთ კედელში, იატაკის დონეზე ერთი ვიწრო სარკმელია, ზევით ორი ნიშა, მათ შორის მარცხენა კუთხისას თარო აქვს.

დაცულობა: ორივე სართულის კედელი შიგნიდან შეღესილია. გადახურვები ჩამონგრეულია. შენობის გადახურვა და სართულშუა კონსტრუქციები ჩამოქცეული. პირველი სართული სანახევროდ ამოვსებულია სიბი ქვებითა და კლდის ნაშალით. I სართულის კარის შეისრული გადახურვა ჩამოვარდნილია.

ციხე-სახლი № 18 მდებარეობს შეთაკურების უბნის ცენტრში. ორსართულიანი, გეგმაში კვადრატული ფორმის (5,5X5მ.) ციხე-სახლი ჩრდილოეთის ზურგიით კლდის ფერდშია შეჭრილი და ამ მხარეს სახლის კედლად კლდეა გამოყენებული. ნაგებია ფიქალის ქვის მშრალი წყობით. ორივე სართულს შესასვლელი კარი სამხრეთიდან აქვს. I სართულის კარი ცენტრიდან ოდნავ მარცხნივ არის ჩაწეული, აქვს ნაოთხალი წირთხლი კარის ჩასარაზი ფოსოებით. შეისრული გადახურვა თანდათან გადაწეული სიბი ქვებითა და მათი ჩამკეტი გრძელი ქვით იქმნება. მეორე სართულის კარი მარცხენა კუთხეშია გაჭრილი, ამკამად შეღახულია - ჩამოცვენილი აქვს ისრული თაღი და წირთხლები. ცენტრალურ ნაწილში გაჭრილია მცირე ზომის სარკმელი კარის მხგავსი გადახურვითა და ნაოთხალი წირთხლით. აქვეა ორი გამჭოლი ბუდე II სართულის აივნის კოჭებისთვის. I სართულის ერთადერთი სარკმელი აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი და №17 სახლის I სართულში გადის. შიგნით, დასავლეთ კედელს პირველი სართულის ტერის დონეზე განიერი თარო გასდევს კოჭების ჩამოსადებად. გადახურვები არ შემორჩენილია. II სართულის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ერთი კუთხის ჩამკეტი სიბია, რომელიც სამკუთხა თაროს ქმნის. სამხრეთი კედელი დასავლეთ მხარეს №19 სახლის აღმოსავლეთ კედელს შუა წელზე ებჯინება და ზედა ნაწილში წყობითაა გადაბმული.

დაცულობა: ციხე-სახლის გადახურვა და სართულშუა კონსტრუქციები ჩამოქცეული. დაზიანებულია ბოლო სართულის კედლების ზედა ნაწილები. მეორე სართულის კარის გადახურვა და წირთხლები ჩამოცვენილია.

ციხე-სახლი № 19 ციხე-სახლი მდებარეობს შეთაკურების უბნის დასავლეთ ნაწილში. სამსართულიანი, გეგმაში რომბისებური ფორმის (6,5X6,5 მ.) შენობა, ნაგებია

ფიქალის ქვის წყობით ტალახის ხსნარზე ჩრდილოეთის ზურგით კლდეშია შეჭრილი და კლდად კლდეა გამოყენებული. სამხრეთი კედლის ძირი მარჯვნიდან მარცხნივ დიაგონალურად ჩაუყვება ქვევიდან ამოშავალ ბილიკს, ხოლო აღმოსავლეთ ფასადი №18 სახლის კედლის საერთო ხაზიდან წინაა გამოდგმული, გაშლილ კუთხეს ქმნის და მიმართულებას აძლევს ციტადელისკენ მიშავალ შუკას. I სართულის კარი მარცხენა კედელშია გაჭრილი. მარცხენა წითელი მთლიანად, მარჯვენა კი ნაწილობრივ ჩამონგრეულია. ჩანს, რომ პირველი სართული დაბალი უნდა ყოფილიყო და საერთო სიერცე არ უნდა სჭეროდა. II სართულის კარი მარჯვენა კედელშია გაჭრილი - შეისრული ზედა ნაწილით, რომელიც კონსოლისებურად თანდათან გადმოწვეული სიპებით მიიღწევა და ნაოთხალი წითელებით, სადაც კარის ჩარჩოსა და ჩამკეტი ძელისათვის ფოსოებია დატოვებული. III სართულის კარი აღმოსავლეთ ფასადის ცენტრშია გაჭრილი. ესეც ნაოთხალწითელიანი და შეისრულთაღიანია. ერთი ვიწრო საკვამური მარცხენა ზედა კუთხეშია დატოვებული. შესასვლელი კიბე შემორჩენილი არაა. სამხრეთ ფასადი ორი დიდი, იატაკიდან ჭერამდე გახსნილი დიობით გამოდის. ეს არის საზაფხული სადგომი - სანიაო. ინტერიერში დასავლეთ კედელში (რომელიც №20 ციხე სახლის კედელია) I და III სართულის გადახურვებისთვის ორ-ორი კოჭის ბუდეა. II სართულისთვის კი სამი ცალია; მოპირდაპირე კედელში II სართულის დონეზე აქაც სამი ბუდეა, მათ შორის მარჯვენა გამჭოლია და აღმოსავლეთ ფასადზე გადის, სადაც აივანი უნდა ყოფილიყო მოწყობილი III სართულის შესასვლელის წინ. III სართულის სახურავის კოჭისთვის მხოლოდ ერთი ბუდე ჩანს.

დაცულობა: გადახურვა და სართულშუა კონსტრუქციები ჩამოქცეულია. დაზიანებულია ბოლო სართულის კედლების ზედა ნაწილები, შერყულია III სართულის შუაკედლისი და მარცხენა დიობის მარცხენავე წითელი, I სართულის შესასვლელი კარის მარცხენა წითელი კი მოშლილია. არ შემორჩენილია III სართულზე ასასვლელი კიბე.

ციხე-სახლი № 20-21 მუცოს ზედა - შეთეკაურების უბნის ფრონტალურად გაშლილ ურბანულ განაშენიანებაშია ჩართული. გამოირჩევა დიდი დიობით გახსნილი, მესამე, საზაფხულო სართულის დამახასიათებელი სილუეტით. კლდოვან სუბსტრუქციაზე დაფუძნებული ძირითადი, №20 ციხე-სახლის მასშტაბსა და სიმაღლეს შემადგენელი მდებარეობა უფრო შთამბეჭდავად აჩენს. სახლთან მისასვლელი გზა, სავარაუდოდ, მოწესრიგებული და ხელოვნურად მოწყობილი იქნებოდა, მისგან დღეს მიუდგომელი კლდოვანი ბილიკია დარჩენილი, რომელიც I სართულის თაღოვან, შიგნით ფართო თაღოვანი შემკლავებით გახსნილ კარს უკავშირდება. წინა, საფასადო კედელში გარდა სამხერ-სათავდაცვო ვიწრო დიობებისა, კარს ზემოთ II სართულის - თაღით დასრულებული კვადრატული ხარკმელი და III სართულის - ფართო, სწორკუთხა დიადია.

№20 ციხე-სახლის კედლები თითქმის სრული სიმაღლითაა მოღწეული. სართულშუა და დამასრულებელ ბრტყელ გადახურვას ჩვენამდე არ მოუღწევია. გვერდით კვადრატს მიახლოებული სათავისი გვერდითი კედლები აღმაცურად მიემართება ზურგის კედლად გამოყენებული პიტალო, პრილაზუდაპირიანი, ორი სართულის სიმაღლის კედლის მასივებისკენ, რომელთა შორის, კედლის შუაში არსებული ნაპრაღი მასიური სწორკუთხა პილასტრივითაა ჩაშენებული. ჩანს, იგი დამატებით საყრდენს წარმოადგენდა სართულშუა გადახურვის კონსტრუქციისთვის. კუთხის შემკრავი სამკუთხა ფილები კედლის წყობაში არარეგულარულადაა ჩართული.

აღსანიშნავია, რომ №20 ნაგებობას აღმოსავლეთით უშუალოდ აქვს მიშენებული №19 ციხე-სახლი და მის ინტერიერში მოქცეულ აღმოსავლეთის კედელში გადახურვის კოჭის ბუდეებია აღბეჭდილი. შიდა მხრიდან ამ ორ ციხე-სახლს შორის კავშირის კვალი არ ჩანს. ამის საპირისპიროდ, დასავლეთის მხრიდან მიშენებულ №21, გვერდით ტრაპეციულ, მცირე ზომის ნაგებობასთან იგი მადალშუბლიანი თაღოვანი კარით არის დაკავშირებული. აშკარაა, რომ ეს ორსადგომიანი კომპლექსი ერთი ოჯახის მფლობელობაში იქნებოდა. სამწუხაროდ, მიშენებული ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია. ფაქტობრივად, აღარ არსებობს მისი სამხრეთის საფასადო კედელი I სართულთან დამაკავშირებელი კარიბურთ. ნაწილობრივ ჩამოშლილია ასევე უკანა კედლის გარე კუთხე ზედა ტურასიდან III სართულთან დამაკავშირებელი კარის ერთ წითელთან ერთად. ამ სათავისი უკანა კედელიც კლდოვანია და სავარაუდოდ ისიც აქტიურად

იქნებოდა გამოყენებული სართულშუა კონსტრუქციის საყრდენად. II სართულის გვერდითი კარი, რომელიც ნაგებობის დასავლეთით, ახლოს მდგარ №22 ციხე-სახლემდე არსებულ ვიწრო და ტრაპეციულ საერთო ეზოს უკავშირდება, საკმაოდ მადლაა ნიადაგიდან. ღიობს გარედან ცალი კუთხით კედლიდან მკვეთრად გამოსული ზღურბლი და ზედ დამატებული მასიური ქვის თარო ახლავს, რაც ჩანს მისადგმული კიბისთვის გამოყენებოდა.

დაცულობა: სხვა ნაგებობათა მსგავსად, №20-21 ციხე-სახლების სართულშუა გადახურვები და დამასრულებელი ბანური სახურაეი არ შემორჩენილა. მორყეულია ქვის წყობა №20 ნაგებობის საფასადო კედლის ზედა, მარცხენა არეში, კუთხესთან ახლოს განეწილა ღრმა ბზარი და არსებობს ჩამონგრევის რეალური საფრთხე. განადგურებულია №21 ნაგებობის წინა კედელი, III სართულზე უკანა კედლის ნაწილი და ასევე, გვერდითი კედლის ზედა ნაწილები

ციხე-სახლი № 22 სამსართულიანი, გეგმაში ოთხკუთხა ფორმის ციხე-სახლი ნაშენია ფიქალის ქვით ტალახის ხსნარზე. მდებარეობს შეთეკაურების უბნის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, საითაც სრულდება განაშენიანების განვითარება. ზურგის, ჩრდილოეთ კედლით კლდეშია შეჭრილი, სამხრეთის პირით კი კლდეზეა გადმოკიდებული და ანდაქის წყალს გადაკურებს. სამივე სართულს კარი დამოუკიდებლად აქვს გაჭრილი აღმოსავლეთ ფასადზე, ღიობთა კომპოზიცია ვითარდება საფეხურისებრივად, დიაგონალურად მარცხნიდან მარჯვნივ (სართულების შესაბამისად), ისე რომ II სართულის კარი შუაშია მოქცეული, სამივე კარი მსგავსი ფორმისაა: ნაოთხალი წირთხლებით, რომელთაც ჩარჩოსა და ჩასარაზი ძელისთვის ფოსოები აქვს დატოვებული. მათი ზედა ნაწილი კონსოლისებურად თანდათან გადმოწეული სიპებითა და თავზე დადებული გრძელი, ჩამკეტი სიპით თავწაკვეთილი ისრული თაღის ფორმას იძლევა. სამხრეთი ფასადი კედლთან პირს მიუყვება და ამიტომ მის მოსაზღვრე №21 ციხე-სახლთან შედარებით ოდნავ სამხრეთ-დასავლეთითაა პირშეკცეული. ამ მხარეს მხოლოდ II-III სართულს აქვს გაჭრილი თითო სარკმელი, ერთმანეთის თავზე, ცენტრიდან ოდნავ მარჯვნივ ჩაცურებული. ამივე ფასადის მარჯვენა კუთხეში II სართულის საკვამური გამოდის. შიგნით – დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებს, I და II სართულის დონეზე სიგრძივ თარო გასდევს სართულშუა გადახურვისთვის, III სართულის გადახურვისათვის კი თითო კოჭის ბუდეა, ხოლო სამხრეთ კედელში I და II სართულების გადახურვის კოჭის ორ-ორი ბუდეა დატოვებული. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებშიც კუთხის ჩამკეტი სიპებია, რომლებიც სამკუთხა თაროებს ქმნის.

დაცულობა: სახლის გადახურვები ჩაქცეულია. I სართული ნაწილობრივ ამოვსებულია კედლის ნაშალით.

ნაგებობა №23 და №24 მდებარეობს შეთეკაურების უბნის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში. შენობები ერთი კომპლექსის შემადგენელი, მიჯრით ნაშენი ნაწილებია, რომელთაგან №23 დამხმარე სათავესი გაცილებით ადრეულია და მუცოს კომპლექსის საცხოვრებელ არქიტექტურაში იგი ერთადერთ კამაროვან სათავეს შეიცავს.

№24 ნაგებობა ჩრდილოეთის, ზურგის კედლით მაღალ კლდეზეა მიბჯენილი. ნაგებია ფიქალი ქვის მშრალი (მდარეა) წყობით. მხოლოდ პირველი სართულის გეგმა იკითხება, თუმცა ჩანს, რომ ორსართულიანი იყო. სამხრეთის კედელი 1,5 მ. სიმაღლეზეა შემორჩენილი და შესასვლელი კარიც აქედან აქვს, რომელსაც მარჯვენა ნაოთხალი წიბოდა აქვს შემორჩენილი. აღმოსავლეთის ნახევრად დანგრეული კედელი ყრუა. ინტერიერი ამოვსებულია კედლის ნაშალით. დასავლეთიდან ემიჯნება №23 შენობას და მასზეა მიდგმული, სადაც მოხვედრა მხოლოდ აქედან არის შესაძლებელი.

№23 ნაგებობაც ჩრდილოეთის, ზურგის კედლით მაღალ კლდეზეა მიბჯენილი. ნაგებია ფიქალი ქვის მშრალი წყობით. გეგმაში ხუთკუთხაა (მუხუთე კუთხე კედლის ფორმის გამო ჩნდება) და შემორჩენილია I სართულის დონეზე და ისიც ამოვსებულია კედლის ნაშალით. შიგნით მოხვედრა მხოლოდ №24 შენობის გავლით არის შესაძლებელი. კარი გაჭრილია აღმოსავლეთ კედელში, აქვს ნაოთხალი წიბოები, ხოლო ზედა ნაწილი კონსოლისებურად თანდათან გადმოწეული სიპებით და თავზე დადებული გრძელი, ჩამკეტი სიპით თავწაკვეთილი ისრული თაღის ფორმას იძლევა. აქვეა შემორჩენილი ერთი ცალი სართულშუა გადახურვის კოჭის ბუდე, ერთადერთი სარკმლის ნაშით

სამხრეთის კედლის ცენტრშია დარჩენილი. ნაგებობას დასავლეთით ახლავს დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლით კლდეზე მიბჯენილი ერთსართულიანი მცირე ზომის სათავსი. ფიქალი ქვები ტალახზეა ნაწყობი, გადახურვა კამაროვანია, თუშცა ჩრდილოეთ ნახევარი ჩამოქცეულია. სახურავზე შემორჩენილია სიბი ქვის ფილები. შეისრულთაღიანი კარი დიდი სათავსიდან არის გაჭრილი.

ამ ნაგებობათა ჩრდილოეთით, მომოჯნავედ ხატის პატარა ნიშია აღმართული, წმინდა ადგილის ასეთ სიახლოვეს საცხოვრებლის არსებობა საეჭვოა. შესაძლებელია ისინი სწორედ ამ ხატის (ნიშის) დამხმარე ნაგებობები ყოფილიყო (მაგ: ხატის ბუდელი /კამაროვანი სათავსი/, საღუდე, საჯარე).

დაცულობა: შენობის გადახურვა და სართულშუა კონსტრუქციები ჩამოქცეული. პირველი სართული ამოვსებულია კლდისა და კედლის ნაშალით, თავად ნაგებობაც პირველი სართულის დონეზეა შემორჩენილი

კოშკი № 25

გამაგრებული ურბანული დასახლების - მუცოს ტერასულ-ბანიან განაშენიანებაში მნიშვნელოვანი აქცენტები შეაქვს კოშკებს, რომელთა ვერტიკალური სილუეტები თვალსაჩინოდ იკითხება შორ, თუ ახლო ხედვებში, თავს უყრის და აგვირგვინებს ნაგებობათა ჯგუფებს, თუ მთელ ხუროთმოძღვრულ კომპლექსს და რთულ რელიეფზე გადაადგილებისას სხვადასხვა შთაბეჭდავი რაკურსით შემოდის ხედვის არეში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მათგან, პირველ რიგში თავისი მდებარეობით, მთელი დასახლების დამასრულებელ კლდოვან კონცხზე აღმართული, ციტადელის ქვედა, ამჟამად შეთუქაურებისად წოდებული კოშკია.

არასრული სიმაღლის მიუხედავად, ნაგებობა მასშტაბურობით გამოირჩევა. დროთა ვითარებაში შექმნილი დეფორმაცია, რაც ძირითადად მთელი ხუროთმოძღვრული სხეულის აღმოსავლეთით გადახრაში გამოიხატება, კედლების გამჭოლი ბზარებისა და უმძიმესი ავარიული მდგომარეობის ფონზე სავალალო სურათს ქმნის. სავარაუდოდ, კოშკის დამასრულებელი საბრძოლო სართული ჩამონგრეულია.

გვერდით კვადრატული კოშკის მხოლოდ ორი - სამხრეთისა და დასავლეთის კედელია სამი სართულის სიმაღლით მოღწეული, ნაგებობის მონოლითურობა დარღვეულია და დანარჩენი ორი - აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლის ერთი სართულის სიმაღლის ნაწილები ჩამონგრეულია. კოშკის დიობები მუცოს განაშენიანებისკენ მიმართულ სამხრეთის ფასადზე, ერთ ვერტიკალურ ღერძზეა განლაგებული. შვეულ კლდეზე დაფუძნებულ ნაკირულ ძირს ზემოთ გაჭრილი I სართულის კარის დიობის საკმაოდ მაღლა, 230 მ-ზეა განთავსებული. დიობს მუცოს არქიტექტურაში მიღებული წესის მიხედვით ფიქალის ფილების საფეხუროვანი, კონსოლურად გადმოწეული წყობით შემოწერილი თავისთავადი, ორქანობა-თაღოვანი ფორმა აქვს. კარს ზემოთ საფასადო კედელში განლაგებულია შემცირებული მასშტაბის თაღოვანი სარკმლები, რაც ილუზორულად აძლიერებს პერსპექტივს.

დაცულობა: კოშკს, ჩანს მიწისძვრისაგან მიღებული აქვს დეფორმაცია, გადახრილია აღმოსავლეთით; დარღვეულია ნაგებობის მთლიანობა, კედლების სიმაღლეებს შორის სხვაობა ერთ სართულს შეადგენს. მთავარ ფასადზე, II სართულის სარკმლის გვერდით გამჭოლი ბზარია განხილი და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე მისი მიმყოლი აღმოსავლეთის კედლიანად გამოწეულია საერთო სიბრტყიდან და შემთხვევით შექმნილი წონასწორობით არის განჯერებული ამ მდგომარეობაში

კოშკი № 26

ციტადელის ტერიტორიაზე, რომელიც მუცოს ურბანული დასახლების დამაგვირგვინებელ თხემზეა გაშლილი, ნაგებობათა რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა. „ბროლის კალოს“ ხატს, დღეს „შეთუქაურების“ კოშკად წოდებულ ციტადელის ქვედა კოშკსა და მის მიმდებარე ვრცელ კლდოვან პლატფორმას თხემის ზედა ნაწილისგან ბაქნის ბუნებრივი შევიწროება გამოყოფს. ციტადელის ზედა ნაწილი შევიწროებულ ყელთან ქარაფის პირზე გაყოლებული ვადავნის დაბალი კედლითაც არის შემოზღუდული, რომელშიც ეიწრო შესასვლელია გამართული.

შესასვლელთანვე, მარჯვნივ თავმოყრილია ნაგებობები: კოშკი, ეკლესიის ნანგრევი და მათ შორის გამავალი დაბალი რკალური ზღუდე, რომელიც ეზოს შემოფარგლავს.

ნაგებობათა განლაგება და საერთო გეგმარების ორგანიზაცია მათ შორის ფუნქციურ ურთიერთკავშირზეც მიანიშნებს. მშენებლობის საწყის ეტაპზე ციტადელის სასიმაგრო ნაგებობებისა და ეკლესიის აშენება უნდა მომხდარიყო, რასაც შემდგომში, ტრადიციული სარიტუალო პროცესის შესაბამისად, შესაწირი დასაკლავი საქონლის სადგომი გასამართად ეკლესიასთანვე ზღუდით შემოფარგლული ეზოს მოწყობა და სავარაუდოდ, ციტადელის სიმაგრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობის – შუა ციხისთვის საკულტო დანიშნულების შეთავსებაც უნდა მოყოლოდა.

გვეგვით ოთხკუთხა კოშკი ბუნებრივ შემადღებაზე დგას. ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ნაგებობის სტრუქტურაში კლდის დიდი მასივია ჩართული, რაც მას სიმძლავრეს და თავისთავადობას ანიჭებს. კედლები ფიქალის ფილების მშრალი წყობით არის ნაშენი. კოშკი ერთი სართულის სიმაღლითაა მოღწეული. თარიღის განსაზღვრისთვის ხელმოსაკიდი ხუროთმოძღვრული ფორმები, დიობები, თუ სხვა ელემენტები არ შემორჩენილა, თუმცა აღნიშნულ ნაგებობათა ლოგიკური ურთიერთკავშირი სავარაუდოდ ხდის კოშკისა და ეკლესიის თანადროულობას, ანუ განვითარებულ შუა საუკუნეებში ციტადელის მთლიანი სტრუქტურის შემადგენლობაში ჩამოყალიბებას, რასაც ბუნებრივია, მომდევნო ისტორიის მანძილზე ტრადიციულ-კონსერვატული მიდგომით განხორციელებული არაერთი აღდგენა-განახლება უნდა მოყოლოდა; თუმცა დღემდე კოშკის მხოლოდ ძირმა მოაღწია.

დაცულობა: კოშკის ქვედა სართულიც არ არის სრულად მოღწეული – დაშლილია სამხრეთის კედლის დიდი ნაწილი, კედლებს შემორჩენილ ნაწილებშიც აქვს ბზარები.

ეკლესია № 27

მუცოს, მაღალი მთის ფერდობზე გაშენებული ისტორიული გამაგრებული დასახლების თავში, გრძლად გაშლილ, მოსწორებულ კლდოვან თხემზე განთავსებული ციტადელის შუა ნაწილში მდებარეობს ნანგრევების სახით მოღწეულ ნაგებობათა ჯგუფი, რომელშიც აღმოსავლეთის ნაპირა მდებარეობა უკავია შევეული ფლატის პირას დაშენებულ, გვეგვით სწორკუთხა, კვადრატს მიახლოებულ ნაგებობას. მკაფიოდ გამოხატული აღმოსავლეთ-დასავლეთის დამხრობა და ამასთან შიდა გეგმარების დამახასიათებელი ნიშნები მას მთის ეკლესიათა ჯგუფში აქცევს, მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა კლასიკური ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნორმებს მთლად არ ეთანხმება, გამარტივებულია და შეზავებული ადგილობრივი ტრადიციული ხატ-სალოცავების გადაწყვეტასთან.

კირხნარზე ნაწყოები ფიქალის ფილებით ნაგები კედლების ზედა ნაწილები და გადახურვა განადგურებულია. განსაკუთრებით დაზიანებულია ჩრდილოეთის კედელი, საითაც ეკლესიას მინაშენი უნდა აქონოდა. შიგნით ნაგებობის ამ ნაწილს ნაშალი ავსებს. მინაშენის არსებობაზე უტყუარად მიუთითებს აღმოსავლეთის კედლის ჩრდილოეთით გაგრძელებული ძირი.

ეკლესიის ერთადერთი ფართო სარკმელი აღმოსავლეთით არის მიმართული. მას, ისევე, როგორც – ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ კუთხესთან განთავსებულ, ამ მხარეს არსებულ მინაშენთან დამაკავშირებელ საკმაოდ განიერ კარის დიობს, პარალელური წირთხლები აქვს. საკუთრივ მინაშენში მოხვედრა, ჩანს, დასავლეთის მხრიდან იყო შესაძლებელი – დიობი შედარებით უკეთ შემორჩენილ ამ კედელში დღესაც იკითხება. დაზიანების გამო არ ვიციტ როგორი იყო კარის დიობების მოყვანილობა. რაც შეეხება სარკმელს, შემორჩენილი ნაწილის მიხედვით ცხადი ხდება, რომ მას თაღოვანი ფორმა უნდა აქონოდა. ძნელია გადახურვის ტიპის დადგენაც, თუმცა სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ კუთხის დამასრულებელი ნაწილის ოდნავი მორკადვა კამარის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. ეკლესიის საკურთხეველი მთის სხვა ეკლესიათა მსგავსად სწორკუთხაა. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კედელზე მიშენებულია დიდი, კვადრატული ბაქანი, რომელიც ჩანს ტრაპეზის ქვის ფუნქციას ასრულებდა. სამკვეთლო-სანათლაის ფუნქცია უნდა აქონოდა ჩრდილოეთის კედელში მოწყობილ ნიშას და ამავე მხარეს, ჩრდილოეთის კედლის სივანეში შეჭრილ, კუთხესთანვე გამართულ მოზრდილ უბეს.

ეკლესიის სამხრეთის კედელში ჩართულია ბუნებრივი, თუმცა პირმოსწორებული დიდი კლდის მასივი, რომელზეც ფიქალის წყობაა შემოშენებული. ეკლესიის შიდა დამუშავებიდან აღსანიშნავია კიდევ ერთი მართკუთხა ნიშა, რომელიც ამ მასივისა და

დასავლეთ კედლის კუთხესთან არის გამართული და ასევე, ჩამოსაჯდომი საფეხური, რომელიც ჩანს, სამხრეთ კედელს შთელ სივრცეზე გასდევდა.

ეკლესიის დასავლეთის კედელსა და სამხრეთ-დასავლეთით მდგარ, ძლიერ დაზიანებული კოშკის კედლოვან სუბსტრუქციას შორის ნახევარწრიული მოხაზულობის დაბალი ზღუდით მცირე ეზოა შემოკავებული, რაც, ჩანს, ეკლესიის შესაწირი საქონლის სადგომად გამოიყენებოდა.

დაცულობა: საკონსერვაციო სამუშაოების დროულად ჩატარების გარეშე დაიკარგება ნაგებობის გვემარების სპეციფიკური თავისებურებანი:

- ჩამოიშლება ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან არსებული ნიშა-შედრმავება
- დაიკარგება კამარის ქუსლზე მიმანიშნებელი მცირე მორკადვა სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის ზედა ნაწილში
- ჩამოინგრევა საკურთხეველის სარკმლის თაღოვანი მოყვანილობის საწყისი მარჯვენა წიროხლის ზედა მონაკვეთში კიდევ მეტად წაიშლება ჩრდილოეთის მინაშენის კონტურები

კოშკი № 28

ციტადელის ზედა კოშკი, რომელიც მუცოს ისტორიული დასახლების დამაგვირგვინებელი თხემის სულ ზემო ნაწილში კოშკისებურად ამოზიდულ კედლოვან კონცხს ასრულებს, ოთხკუთხა, მონოლითურ, სამსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. მისი ფასადი მიმართულია თხემზე განაწილებული ბუნებრივი სტრუქტურებისა და ნაშენი ნაგებობებისკენ – ეკლესიის, მისი მოსაზღვრე ციტადელის შუა კოშკის, ხევისუფლის კედელში გამოკვეთილი ვეებერთელა სავარძლისა და ვრცელი კედლოვანი პლატფორმის, „ბროლის კალოს“ წმინდა გიორგის ხატის და ასევე, თხემის უკიდურეს სამხრეთ კიდეში

აღმართული, ციტადელის ქვედა (დღეს შეთქაურებისად წოდებული) კოშკისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ციტადელის კოშკის რეალური ზომა დანარჩენი ნაგებობების შესატყვისია, უფრო მოკრძალებულიც კი, მძლავრი ბუნებრივი სუბსტრუქციისა და პროპორციის წყალობით ის მასშტაბურობას იძენს და ერთგვარად გაბატონებულია მოცემულ გარემოში.

აღნიშნული ტერასის ის ნაწილი, რომელზეც ციტადელის ზედა კოშკი, ეკლესია და შუა კოშკის ნანგრევია განაწილებული, „ბროლის კალოს“ კედლოვანი პლატფორმისგან ტერიტორიის შემომფარგლავი ზღუდითაა გამოყოფილი, რომელშიც ვიწრო შესასვლელია მოწყობილი.

ციტადელის ზედა კოშკი, საცხოვრებელი და სათავდაცვო ფუნქციის მქონე ნაგებობაა რომელსაც პირიქითა ხევისურები თორღვას სახელს უკავშირებენ, თუმცა გვიანი ხანის ამ ხალხურ ვპირს რეალურად კავშირი არ შეიძლება მქონდეს უდაოდ ბევრად ხანდაზმულ, სავარაუდოდ განვითარებული საუკუნეების ამ ნაგებობასთან. კირის დუღაბზე ნაწყობი ფიქალით ნაგები კედლების სიგანე პირველ სართულზე 0. 60–0. 65 მ-ს უდრის, ხოლო ზემოთ თანდათან იკლებს და 0. 50 მ-ის ტოლია.

კოშკი სამი მხრიდან მიუდგომელია და ერთადერთი თაღოვანი კარიც კედლოვანი ფუძიდან საკმაოდ მაღლა, 1. 30 მ-ის სიმაღლეზეა განთავსებული. პირველ სართულზე კიდევ ერთი საკმაოდ მოზრდილი ღიობია დასავლეთით. ამას გარდა არის სამხურ-საისრე ხვრელები, როგორც სამხრეთის, ასევე აღმოსავლეთის კედელში, მათგან ეს უკანასკნელი ორმაგხვრელიანია და თუ ერთი პირდაპირაა მიმართული, მეორე დაბლა ფლატეზე გამავალ ბილიკს აკონტროლებს. ამ სართულზე, ჩრდილოეთის კედელთან ქვის წყობით 0. 80მ X 0. 55მ ზომის, 0. 75 მ-ის სიმაღლის საკურთხეველია გამართული.

მეორე სართულზე აღმოსავლეთით ერთი დიდი სარკმელია, ჩრდილოეთით – ორი ვიწრო სამხურ-საისრე ღიობი, მათგან ერთი ორმაგხვრელიანია. სამხრეთის კედელში სამი საისრე, თუ სათოფურია – ერთ, ორ და სამხურელიანები, სხვადასხვა მხარეს მომზირალ-მაკონტროლებელი.

კოშკის მესამე სართულის აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში განთავსებულ ფართო (1. 60მ), სანიაფო ღიობებს გარდა, ჩრდილოეთით ორი სათოფური, ხოლო სამხრეთის კართან მისასვლელს ზემოთ შეწყვეილებული სალოდვა, რომელიც კედლის

ზედაპირიდან 0. 43 სმ-ით წინ არის გამოზიდული. ასეთივე სალოდუები უნდა ჰქონოდა კოშკის დანარჩენი სამი მხრიდანაც. სალოდუებს ქვეშ აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლებს შიგნით ფიქალის შვერილი ფილების თარო გასდევს სართულშუა გადახურვის კონსტრუქციისთვის. კონსტრუქციული დანიშნულება აქვს, აგრეთვე, ყოველი კუთხის აუღლებით წყობაში ჩატანებულ შემკრავ სამკუთხა ფილებს, რაც საყოველთაოდ მიღებული სამშენებლო ხერხია მუცოს სხვადასხვა დროის ციხე-სახლებსა და კოშკებში.

დაცულობა: კოშკის გადახურვა და სართულშუა კონსტრუქციები დიდი ხნის წინ არის ჩამოქცეული. დაზიანებულია ბოლო სართულის კედლების ზედა ნაწილები, მათ შორის სალოდის ზემოთაც. ფასადის მხრიდან კედლის მარჯვენა კუთხესთან ახლოს ქვის წყობას ბზარი მიყვება. ამასთანავე დეფორმირებულია აღმოსავლეთის კედლის დამასრულებელი ნაწილი, რომელიც შუაში შეზნექილია.

კოშკი № 29

თორღვას კოშკი მუცოს ციტადელის დასავლეთით, კლდოვანი ფერდის შუაწელზე, ერთ-ერთი კლდის ქიმზეა აღმართული. სამსართულიანი, გვერდში კვადრატთან მიახლოებული კოშკი ნაგებია ფიქალი ქვით მიწანარევი კირის ხსნარზე. დაახლოებით პირველი სართულის დონეზე ოდნავ ენტაზისს იკეთებს, ზევითკენ კი ისევ გარეთ გამოდის. სამხრეთის და დასავლეთის ფასადები ანდაქისწყლის ხეობას გადმოყურებს. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს კლდის მხარეს, მიუდგომელია და მაღალზეა გაჭრილი. კარი საკმაოდ განიერი და მაღალია მსუბუქად შეისრული თალითა და ნაოთხალი წირთხლით, სადაც შერჩენილია კარის ხის ჩარჩოს ნაწილი. ხის ერთი ცალი მსხვილი კოჭია შემორჩენილი I სართულის იატაკისთვის (სულ სამი იყო), იატაკის ქვეშ დაახლოებით 50 სმ. სიმაღლის სარდაფია (შეიძლება ცხერის დასამწვევდად იყენებდნენ, რადგან სამხრეთ კედელში იატაკის დონეზე პატარა ნახერცია), სართულები საკმაოდ მაღალია, სართულშუა გადახურვის კოჭები ღერძების მონაცვლეობით იყო გადებული, ამგვარი განლაგებით დატვირთვები ოთხსავე კედელზე თანაბრად ნაწილდება. ჩანს, რომ III სართული საცხოვრებლად გამოიყენებოდა, რადგან აქ სამხრეთ და დასავლეთ კედლებში მოზრდილი ხარკმლებია შეისრული თალითა და ნაოთხალი წირთხლით (ამათგან სამხრეთის ხარკმელში ხის ჩარჩოა შემორჩენილი). ამ სართულზევეა აღმოსავლეთ კედელში ორი სათოფური, ჩრდილოეთ კედელში კი ერთი ცალი საკმაოდ გაშლილი წირთხლებით. I სართულზე ცერად გაჭრილი სათოფურია და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იმზირება საიდანაც ბილიკი ამოდის. I-II სართულების ოთხივე კუთხეში სამ-სამი კუთხის ჩამკეტი სამკუთხა თარობია, მესამე სართულის გადახურვის კუთხიდან “სვეტებზე” – თითო. ასეთივე თითო თარო I სართულის იატაკის ქვეშაა. მუცოს სათავდაცვო კოშკებს შორის თორღვას ციხე ქველაზე კარგ მდგომარეობაშია მოღწეული.

დაცულობა: კოშკის გადახურვა და სართულშუა კონსტრუქციები ჩამოქცეული. დაზიანებულია ბოლო სართულის კედლების ზედა ნაწილები.

ფუნდუკი № 30

მაღალი მთის კლდოვან ფერდობზე ტერასულად გაშენებული გამაგრებული ისტორიული დასახლების მუცოს მისადგომებთან, აღმოსავლეთ ფერდის სამხრეთ კიდეში მდებარე ერთსართულიანი, წაგრძელებული მართკუთხედის გვერდის მქონე ნაგებობა (№30), ყველა სხვა შენობისგან განსხვავებული გადაწყვეტით, მარტივი არქიტექტურული სახით და განცალკევებული მდებარეობით გამოირჩევა. ზღუდის გარეთ მოქცეული ეს ორსადგომიანი შენობა, სავარაუდოდ, ბინა-ფარეხი უნდა ყოფილიყო. მუცოში, სადაც ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ურბანული დასახლების დამცავი ზღუდის კარი დაღამებისას იკეტებოდა, შეგვიანებული მგზავრების, მოქარაუნეებისა და საქონლისთვის საჭირო იქნებოდა სათანადო ნაგებობის არსებობა, როგორცაც, ჩანს, წარმოადგენდა აღნიშნული ღამის თავშესაფარი. სავარაუდოდ, სწორედ ეს ფუნქცია უნდა განაპირობებდეს მის უფანჯრობას.

შენობის კედლები საკმაოდ განიერია; უკანა მხრიდან მას კლდოვანი ფერდი ებჯინება. რაც შეეხება წყობას, ის მშრალი ჩანს, ხსნარის კვალი არ იკითხება. ნაგებობის სადგომები

ერთმანეთისგან ყრუ კედლით არის გაყოფილი. ორივე ოთახს დამოუკიდებელი, მუცოს არქიტექტურისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი კვერცხისებურთალოვანი შესასვლელი აქვს, რაც ფიქალის ფილების კონსოლური, საფეხუროვანი ნაშევრებით შემოიხაზება. კარის ღიობის სიმაღლეც აქაური წესისამებრ ისეთია, რომ ადამიანი მოხრილი თუ შევიდოდა შიგ.

სამხრეთის სადგომს კარი ხვეისკენ, ორი სადგომის საზიარო კედლის კუთხესთანვე აქვს გამართული, ისე, რომ მისი წირთხლი კედლის გაგრძელებას წარმოადგენს. ყურადღებას იქცევს წირთხლისა და მხარის შემკვერელი ერთიანი ფილები, რომლებსაც ჩამოტეხვით კუთხოვანი ფორმა აქვს მიცემული. ღიობი მაღლაა განთავსებული და ზღურბლი შიგნით ორი საფეხურით ეშვება. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაგებობის ეს ნაწილი მგზავრთა თავშესაფარ ბინას წარმოადგენდა. შემორჩენილია გადახურვის კონსტრუქციის კვანძები – ამ სადგომის საფასადო კედლის შიდა მხარეს კარს ზემოთ, მის გვერდით და ცოტა მოშორებით გადახურვის კოჭების ბუდეები, ხოლო განაპირა გვერდითა კედელზე კი, წყობის უკან დახევით შექმნილი თარო.

ნაგებობის ჩრდილოეთის, სავარაუდოდ საკუთრივ ფარეხის ფუნქციის მქონე სადგომს კარი გვერდითი, რულიად სადა ფასადის შუაში აქვს მოქცეული. ღიობის ზედა ნაწილი დაზიანებულია, თუმცა მეორე სადგომის კარის ანალოგიური თალოვანი მოხაზულობა ჯერ კიდევ იკითხება. წირთხლები აქაც კუთხოვანი ქვებით არის შეკრული. სადგომის კედლები შედარებით ნაკლები სიმაღლითაა დაცული, რის გამოც გადახურვის კოჭის ბუდეები არ შემორჩენილა. •

დაცულობა: ნაგებობა გადახურვის გარეშეა, კედლები ჩრდილოეთის ნაწილში მთელი სიმაღლით არ არის შემორჩენილი, ცალკეულ მონაკვეთებში ქვის წყობა მორყეულია.

ანაზომები:

1. სიტუაციური გეგმა.
2. კომპლექსი სამხრეთიდან.
3. კომპლექსი ხედი და ჭრილი აღმოსავლეთიდან
შეთეკაურების უბნის განშლა
№20 და №19 ციხე-სახლები
4. ციხე-სახლი №№: 1, 2, 3, 4.
5. ციხე-სახლი №№: 3, 4, 5, 6.
6. დაიაურთა კოშკი. №7
7. ციხე-სახლი №№: 8, 9, 10, 11.
8. ციხე-სახლი №№: 11, 12,
9. ციხე-სახლი №№: 13, 14, 15, 16 და ერდო.
10. ციხე-სახლი №№: 16, 17, 18, 21.
11. ციხე-სახლი №№: 22, 23, 24 და ნიში
12. შეთეკაურთა კოშკი №25 და ციტადელის ეკლესია.
13. ციტადელის კოშკი №28 და ჩრდილოეთის აკლდამა №5
14. "თორღვას" კოშკი (საბაქოს ჩამკეტი კოშკი №29 და ფუნდუკი №30



მუცო

სივრცითი გეგმა

მასშტაბი 1:1000



Տ. Եղիշուկի բերդի կառուցման ժամանակը






Fig. 1
Architectural elevation of the hillside




Fig. 112 plan of
Chrysoskaphos NO




Fig. 113 plan of




Fig. 114 plan of







Fig. 115 plan of
Chrysoskaphos











Hand-drawn architectural floor plan of a rectangular room with a door on the left wall and a small rectangular feature on the right wall.



Hand-drawn architectural floor plan of a rectangular room with a door on the left wall and a small rectangular feature on the right wall.



Hand-drawn architectural floor plan of a rectangular room with a door on the left wall and several small circular features scattered throughout the interior.










Fig. 1-4




Handwritten signature or initials.




Stapelkammer Fig. 2-2



Egze Stalpelkammer



Stalpelkammer 30



Stalpelkammer 50




Fig. 2-3





Fig. 2-4



Egze Stalpelkammer

Fig. 2-5







Fig. 2-6



Stalpelkammer







Fig. 2-7






Эге X талкы

Кыра-Кызыл өңөр



Эге X талкы

Кыра-Кызыл өңөр



Эге X талкы

Fig. 2

Fig. 3




Fig. 2-1
Fig. 2-1 (continued)




Fig. 2-2
Fig. 2-2 (continued)






Fig. 2-3
Fig. 2-3 (continued)



Fig. 2-4
Fig. 2-4 (continued)



Fig. 2-5
Fig. 2-5 (continued)









Fig. No. 10

Fig. 10

Sectional view

Fig. 10




Fig. No. 11

Fig. 11

Sectional view

Fig. 11




Fig. No. 12

Fig. 12

Fig. 12

Fig. 12




Fig. No. 13

Fig. 13

Sectional view

Sectional view




Figure 10

Figure 10

Figure 10

Figure 10





Figure 12

Figure 12

Figure 12

Figure 12





Figure 13


Figure 13

Figure 13

Figure 13



Յգու ՆՅ ընդ.



Յգու 13.

Կնդր-ընկերակոն ցնդ.



Յգու 14.


Կնդր-ընկերակոն ցնդ. 03.




Յգու 15.




Յգ.




Յգու ՆՅ ընդ.



Յգու 18.




Յգու 19.




Յգու ՆՅ ընդ.


Կնդրակ ցնդ.



Կնդր-ընկերակոն ցնդ.




Յգու 22.



Յգու ՆՅ ընդ.

Յգու 24.



Կնդր-ընկերակոն ցնդ.



Կնդր-ընկերակոն ցնդ.





მუცო სამხრეთაღმოსავლეთიდან 1989



2014





მუცო. სავარაუდო რეკონსტრუქცია



მუცო შეთქაურების კოშკიდან





ავარიული №№ 3, 8, 13 ციხესახლები და კატასტროფული შეთქაურთა კოშკი
აუცილებელია გამაფრთხილებელი ბანერის ადგილზე დამონტაჟება რათა
შეიზღუდოს ტურისტთა მიმოსვლა კოშკის გამაგრებამდე



დაიაურთა უბანი





შეთეკაურთა კოშკი და ბროლისკალოს წმ გიორგი

